საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვეთი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 5 მარტი, 2013 წელი.

№41 (7168)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერის გუშინდელმა შეხვედრამ ნათელი გახადა, რომ საკაშვილს არც თანაცხოვრება სურს და არც თანაარსებობა, ნებსით თუ უნებლიეთ ის ქვეყნის წინაღმდეგ მოქმედებს!..



②

აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა

③

საკაშვილის სამინისტროებში მოწყობილი ფულის სამრეცხაოები

③

ძმები დუმბაძეების ამბავი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს!

⑥

გიგი, თბილისი ივანიშვილს არ დაუთმო!

④

ვაშა გიორგის – ახალ მოლაყბეს...

სად გაქრა კიდევ ერთი მაღალანაზღაურებადი მოხელე?..

⑦

მილიონი ია – ქალბატონებისთვის

⑤

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მიხეილ სააკაშვილი თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე მოქმედებს მხოლოდ პირადი პასუხისმგებლობით

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადება

4 მარტი, 2013

საქართველოს მთავრობა აგრძელებს ძალისხმევას ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დასაჩქარებლად, ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად და რეგიონში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ჩვენი ამოცანაა, პირნათლად შევასრულოთ ევროკავშირთან და ნატოსთან ნაკისრი ვალდებულებები, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ურთიერთობები მეგობარ აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან და უკრაინასთან და გადავდგათ ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისკენ.

ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის ბოლოდროინდელი უპასუხისმგებლო განცხადებები და მოქმედებები ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის კურსს აღნიშნული მიმართულებებით, ლახავს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს და უქმნის დამატებით საშინაო და საგარეო პრობლემებს ახალ ხელისუფლებას. გულწრფელად ვწუხვარ, რომ ამის გამო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეგობარი სახელმწიფოების მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რისთვისაც საქართველოს მთავრობის სახელით მათ ბოდიშს ვუხდი.

ვინაიდან არც მომავალში ვართ დაზღვეული მსგავსი ინციდენტებისგან, უნდა განვაცხადო, რომ საქართველოს პრეზიდენტი 2013 წლის ოქტომბერში თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, მოქმედებს პირადი პასუხისმგებლობით, მისი ვიზიტები არ არის კოორდინირებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და მისი განცხადებები არ გამოხატავს საქართველოს მთავრობის პოზიციებს, თუ ეს არ არის დადასტურებული ქვეყნის ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ.

ბიძინა ივანიშვილი: ეს იყო შეხვედრა შეხვედრისთვის

„ეს იყო შეხვედრა შეხვედრისთვის“ – განაცხადა ჟურნალისტებთან პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტთან შეხვედრის კომენტირებისას და აღნიშნა, რომ შეხვედრაზე ვერანაირ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

„ვფიქრობ, შეხვედრა იყო შეხვედრისთვის. სააკაშვილს რამდენჯერმე შევახსენე, რომ შეხვედრა მისი ინიციატივით იყო და ჩამოეყალიბებინა, რისი თქმა სურდა. რამდენიმე ასეთი შეხსენების შემდგომ, თითებზე ვითვლიდი და სამამდე ავედი, რამდენადაც ეს ყველაფერი დალაგებული არ ჰქონდა. საბოლოო ჯამში ის დასკვნა გამოვიტანე, რომ მისი პირველი თხოვნა იყო, რომ მედია უნდა გავათავისუფლოთ ზეწოლისაგან და საქართველოში მედიასთან დაკავშირებით უპრეცედენტო რამ ხდება, ამიტომ ამ შეხვედრას შეიძლება დავამატოთ ისიც, რომ ჩემი შენ გითხარი... მეორე მითხრა, რომ სასამართლო უნდა გავათავისუფლო ზეწოლისგან და მესამე, რა უნდოდა ძალიან დიდხანს ვცდილობდი, გამეგო, მაგრამ ვერ გავიგე, საბოლოოდ როგორც ჩამოვყალიბდით, ხალხზე მასობრივ დევნასა და ზეწოლას ბოლო უნდა მოეღოს“, – განაცხადა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტს შეხვედრის დროს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მის მიერ გაგზავნილი წერილიც შეახსენა, რომელზეც პრეზიდენტს პოზიცია არ ჩამოუყალიბებია. ამასთან, როგორც პრემიერმა განმარტა, შეხვედრის დროს, პრეზიდენტს ბაქოდან თბილისში დაბრუნებისას გაკეთებული განცხადებებიც შეახსენა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, იგი ყოველთვის მზადაა, შეხვდეს პრეზიდენტს, თუმცა, შეხვედრა მხოლოდ შეხვედრისთვის არ უნდა იყოს.

შეხვედრის მიზანი იყო, „ნაციონალური მოძრაობა“ და სააკაშვილი დარჩენილიყვნენ საზოგადოების ღირსეულ წევრებად

როგორც ბიძინა ივანიშვილმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მისთვის შეხვედრის მიზანი იყო, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი დარჩნენ საზოგადოების ღირსეულ წევრებად.

„ჩემი სურვილია, რომ მათ მოახერხონ და დარჩნენ ღირსეული წევრები საზოგადოების. მხოლოდ ეს იყო მიზანი ჩემი შეხვედრის. თუ მომავალში საჭირო იქნება საუბარი, კიდევ მექნება, მაგრამ შეხვედრა შეხვედრისთვის არ უნდა იყოს, როგორც დღეს. საუბარი მექნება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ნებისმიერი წევრი დარჩეს ღირსეულ წევრად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ზოგიერთ მათგანს კანონი აქვს დარღვეული“, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

რაც შეეხება თავად შეხვედრას, როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა სამი საკითხი დააყენა – მედიის გათავისუფლება ზეწოლისგან, სასამართლოს გათავისუფლება ზეწოლისგან და მესამე, უნდა შეწყდეს მასობრივი ძალადობა ხალხზე.

„მე რამდენჯერმე შევახსენე, რომ შეხვედრა იყო მისი თხოვნით და კარგად უნდა ჩამოეყალიბებინა, რაც სურდა. მე შევახსენე საინტერესო საკითხები, შევახსენე ჩემი ბოლო წერილი, რაზეც პასუხი ვერ გასცა ამ დროის განმავლობაში. ამაზე მითხრა, ძალიან საინტერესო რამ, რომ ჩვეულებრივი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. მერე დავუკონკრეტე, რომ, როგორ, ჩვეულებრივად, მთავრობას შეუძლია პარლამენტის თანხმობის გარეშე დანიშნოს ან მოხსნას? მან მიპასუხა, რომ რამდენიმე მაგალითს მოიყვანდა, თუმცა, ეს ვერ შეძლო და შემპირდა, რომ საჯარო განცხადებას გააკეთებდა. მან თქვა, რომ რამდენიმე ქვეყნის მაგალითს მოიყვანდა, თუმცა, ვერც ერთი გაიხსენა, სადაც პრეზიდენტს ასეთი უფლებები ჰქონდეს“, – განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, მან შეახსენა სააკაშვილს, რომ უნდა გაცნობიერონ, რომ საქართველოს მოქალაქეები არიან და არ უნდა აკეთონ განცხადებები მხოლოდ ამერიკისთვის.

„მე ვუთხარი მას და ახლაც შემიძლია, შევახსენო სააკაშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას“, უნდა გააცნობიერონ, რომ საქართველოს მოქალაქეები არიან, მთავრობას წარმოადგენენ, პრეზიდენტია საქართველოსი და ვთხოვე მათ, რომ თავი დაანებონ მხოლოდ ევროპასთან და ამერიკასთან საუბარს და მხოლოდ მათთვის საუბარს. მე ვთხოვე და მოვუწოდე, რომ მათ ისაუბრონ ისე, რომ გასაგები და მისაღები იყოს საქართველოს მოქალაქეებისთვის და ნუ რჩებიან ვირტუალურ სამყაროში. მან მიპასუხა, რომ ეს ჩემი აზრია და მას განსხვავებულად მიაჩნია. საუბარი იყო – ჩემი შენ გითხარი, რასაც მოვუწოდებდი სააკაშვილს, იგივეს მომიწოდებდა მეც, რომ რეალობაში მოვიდე და რეალობაში დავრჩე“, – აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

დაპირისპირების ქუჩაში გადატანას ვერავინ მოახერხებს

არანაირი არეულობა არ მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებს ამის სურვილი აქვთ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, მას აქვს სურვილი და ყველაფერს გააკეთებს, თუ მეორე მხარეც მზად იქნება, რომ ქვეყანაში კრიზისი, ასევე, მოვლენების არაკანონიერად და არაკონსტიტუციურად განვითარება არ მოხდეს.

„ჩვენ გვქონდა სხვა ტიპის საუბრები. მე დავარწმუნე ის, რომ არანაირი არეულობა არ მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებს ამის სურვილი აქვთ. არ მოხდება და ვერ მოახერხებს ვერავინ ქუჩაში დაპირისპირების გადატანას და საქართველოში არეულობის მოწყობას. მე ამის გარანტიას საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ ვაძლევ“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

პრეზიდენტი პრემიერს მოუწოდებს, საგარეო თემებთან დაკავშირებული განსხვავებები საჯაროდ არ განიხილონ

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებს, საგარეო პოლიტიკურ თემებთან დაკავშირებული განსხვავებები საჯაროდ არ განიხილონ.

როგორც სააკაშვილმა კანცელარიაში ივანიშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, საგარეო პოლიტიკურ საკითხებში გარკვეული პრობლემატური თემები შეიქმნა. პრეზიდენტი მზად არის, მთავრობას ამ თემების გადალახვაშიც დაეხმაროს.

„კი არ დავცხოთ ერთმანეთს. მე შემიძლია გამოვიდე და ვთქვა, ნახეთ, როგორ გააფუჭეს ყველაფერი ჩვენს პარტნიორებთან. რა თქმა უნდა, ამას არ ვიტყვით. მე არ მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი შიდა პოლიტიკური დებატების ფორმა უნდა იყოს. მეც მოვუწოდებ პრემიერს, რომ ამ თემაზე ჩვენი განსხვავებები საერთოდ არ უნდა განივიხილოთ საჯაროდ, რადგან, თუ ჩვენ ერთმანეთს დავცხეთ საგარეო პოლიტიკურ თემებზე, ამით მხოლოდ ერთი ვიღაც იხეირებს და ეს არ არის ჩვენი ინტერესები“, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ჩვენი ინტერესია, ქვეყანაში თავისუფალი სასამართლო შენარჩუნდეს

ჩვენი ინტერესია, ქვეყანაში შენარჩუნდეს თავისუფალი სასამართლო, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ერთი მხრივ, მთავრობა უნდა მუშაობდეს და ჰქონდეს სრული თავისუფლება მუშაობის და ვერავინ შეუშლის ხელს. „ის ლაპარაკი, რომ ვიღაცას ვერ ვიჭერთ და ამიტომ ვერ ვმუშაობთ, მგონი, ამას სერიოზულად არავინ იღებს. ჩვენ გვჭირდება მთავრობა, რომელიც ეფექტურია, არავინ უშლის ხელს და მთელი უფლებამოსილება გადავეცით. მეორე მხრივ, საქართველოს მოქალაქეებს სჭირდებათ, რომ იყოს დიქტატისგან თავისუფალი სასამართლო. ეს სასამართლო ბუნებრივად ვერ იქნება ჩემი დიქტატის ქვეშ და არ უნდა იყოს არავის დიქტატის ქვეშ“, – აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, უნდა შეწყდეს ყველანაირი ზეწოლა მედიაზე, რომელსაც, მისი თქმით, დღეს აქვს ადგილი. „სხვადასხვა პროცესები ვითარდება და ხელის ფათურია „საზოგადოებრივ არხზე“. იყო მუქარები „რუსთავი 2“-ისა და სხვა არხების მიმართ. ახლა მე ნამდვილად არ მინდა განზოგადება ყველა ისტორიის, თუმცა, მიდის გეგმაზომიერი კამპანია მედიაზე პოლიტიკური კონტროლის დამყარების. ქვეყანაში იქნება ერთი სახის და მეორე სახის მედიაც. ქვეყანაში უნდა იყოს ალტერნატიული აზრი და ოპოზიცია“, – აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, არავის აქვს იმუნიტეტი, არც პრეზიდენტს, არც მერებს, არც პარლამენტის წევრებს. „მაგრამ მასობრივი დევნა და შევიწროება იმ ნიშნით, რომ ისინი არიან პოლიტიკური პარტიის წევრები, ეს ქვეყნისთვის ცუდია“, – დასძინა სააკაშვილმა.

პრეზიდენტისა და პრემიერის გუშინდელი შეხვედრის ეს მასალა მოგვაწოდა სააგენტო „ჰი-ეიჩ-ენმა“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა

ეს რამდენიმე დღეა სოციალური ქსელი ფეისბუკი ხელისუფლების წარმომადგენლების კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებად გადაიქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქსელის მეშვეობით ე.წ. „არაბული გაზაფხული“ მოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქსელი საქართველოში ე.წ. პრეზიდენტთან ურთიერთობის ერთადერთ საშუალებად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქსელის საშუალებით ყველანაირი პროდუქტის რეკლამირება ხდება და ყველა, ასე თუ ისე, თავმოყვარე ორგანიზაციას ამ ქსელზე თავისი გვერდი აქვს, მაინც მოიძებნებიან დაწესებულებები, რომლებიც სრულიად უგულებელყოფენ ადამიანებს შორის ურიერთობის ამ ყველაზე თანამედროვე საშუალებას და ლამისაა ბატის ფრთით დაწერილი აზრებით მიმართონ თავიანთ მომხმარებელს.

მოდით, თავი დავანებოთ თანამედროვე ტექნოლოგიების ქებასა თუ ძაგებას, დროებით გვერდზე გადავდოთ და იმ ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს დავუბრუნდეთ, რომლებიც ეს რამდენიმე ათეული წელია, აწუხებს საქართველოს მოსახლეობას.

ამ წერილით „აგრესიულად მორჩილ უმრავლესობას“ მინდა მივმართო. მინდა მივმართო იმ ხალხს, რომლებიც ფეისბუკსა და სამზარეულოებში „ლომები“ არიან, უპირობოდ ეთანხმებიან კიდევ ერთხელ მოწონებულ მორიგ პოლიტიკურ ძალას და ყველას, ვინც ოდნავ საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს, მაშინვე „ხალხის მტრად“ შერაცხავენ. არადა, ამ დროს თვითონ მაგიდის ქვეშ შედგმულ თბილ ზეთის გამათბობლებს არ სცილდებიან და 15, 18 და 21 საათზე „კურიერში“ გამოსული რესპონდენტების გინებით, ან ქებით იოხებენ გულს.

რადგანაც წერილის დასაწყისში სოციალური ქსელი ფეისბუკი ვახსენე, მთავარი თემის განხილვას იქ გამოქვეყნებული რამდენიმე „სტატუსით“ დავიწყებ:

„როგორც იქნა ასრულდა ქართველი ერის კიდევ ერთი ოცნება და „ბუსუსებიანი პრეზერვატივების გამოყენებასთან“ და პარლამენტში ჩოხა-ახალუხითა და ჩიხტიკოპებით მისვლასთან დაკავშირებული კანონების მიღების შემდეგ, სახელმწიფო დაცვის სამსახური მთავრობას დაექვემდებარა.

უჰ, ძლივს არ ამოვისუნთქე. არადა რამდენი ღამე გვითენებია იმაზე ფიქრში, როდის გადაწყდებოდა ერის კეთილდღეობისთვის ესოდენ საჭირბოროტო და, თამამად ვიტყვი, სასიცოცხლო საკითხი.

ვაშა, ქართველო ერო!

ვკრთა ბუკსა და ნაღარას. გამოვიდეთ ქუჩაში და ერთად ვიზეიმოთ ეს დიადი გადაწყვეტილება“.

„არ ვიცი რატომ, მაგრამ მხოლოდ შოუს დონეზე მაინტერესებს თუ როგორი ზეწოლა და ფინანსური მაქინაციები ტრიალებდა ტელეკომპანია „იმედის“, ბანკ „ქართუს“ და ა.შ. მიმართ.

არ ვიცი რატომ, მაგრამ უფრო ის მაწუხებს:

თუ რატომ თავხედობენ, შეურაცხყოფას აყენებენ და ცდილობენ „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე გაჩერებულ მოქალაქეებს პროვოცირებდნენ 1 ოქტომბრის მერმინდელი პოლიციელები?

თუ რატომ ყაჩაღობენ ისევ ყვითელ და ლურჯ ქურთუკებში გამოწყობილი ტიპები?

თუ რატომ არიან ისევ თავიანთ ძველ ადგილებზე ის ადამიანები, რომლებიც მენაგვე-ალპინისტ-მომღერლებს „აპრავებდა“ (არა მხოლოდ მერიაში, სამინისტროებში, დეპარტამენტებში, რაიონულ გამგეობებში დ.ა.შ)?

თუ რატომ დაავიწყდა ხელისუფლების ბევრ „წარმომადგენელს“ ის, რომ ახლო წარსულში მრავალჯერ გაფარჩაკებულნი, როგორ მოთავსდნენ თბილ და მსხვილ ხელფასპრემიიან ადგილებზე?

თუ რატომ...

თუ რატომ...

და ა.შ.

არ ვიცი რატომ ვფიქრობ ასე.

ალბათ ვიწრო აზროვნების მქონე მერკანტელური ადამიანი ვარ“.

„ნეტა ვისი იმედი აქვთ რომ 19-ში აქციაზე მივლენ? იმ ხალხის ხომ არა, დღესაც რომ სამინისტროებში, გამგეობებში, სკოლებში და ა.შ. სახელმწიფო დაწესებულებებში რომ მუშაობენ?

იმ ბიზნესმენების ხომ არა, დღესაც რომ მონოპოლია აქვთ და ისევ იხდიან ნაცების სალაროში ფულს?

იმათი ხომ არა, რომლებიც...

ეს კითხვა კი დავსვი, მაგრამ პასუხს რომელი პოლიტიკური ძალა გამცემს? (ლეიბორისტები, ედპ, ევროპელი დემოკრატები და ა.შ. ნუ გამომეხმაურებით)“.

„ვინმემ მიაწვდინეთ, რა, ხმა ივანიშვილს (არ ვიცი რომელ პროფილზე დავთაგო, ზოგი შექმნილია), დაიბაროს უმრავლესობა და კატეგორიულად მოთხოვოს, უპასუხონ ხალხის ზარებს, ან დააფშვნას თავზე ის ტელეფონები, თორემ კიდე დაგჭირდებათ ხმები და მიიღებთ ხვიშტს“.

პრინციპში ამ სტატუსებითაც შემეძლო ამ წერილის დამთავრება, მაგრამ მცირე კომენტარებს მაინც გავაკეთებ და ისევ „აგრესიულად მორჩილ უმრავლესობას“ დავუბრუნდები.

დავუბრუნდები და პირდაპირ მივმართავ:

თქვენი ბრალია ის, რომ უგულავა ისევ მერია!

თქვენი ბრალია ის, რომ ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოსული, უკვე მერამდენე „თაობა“ იწყებს საკუთარი კეთილდღეობის „მოწყობას“.

თქვენი ბრალია ის, რომ ნაცების ცხრაწლიანი ბატონობის შემდეგ, საოცნებო სამართლიანობის ნაცვლად წვალებით, შიშით, ცემა-ტყეპით და კიდევ სხვა უამრავი უბედურების გადატანით არჩეული პარლამენტისთვის „კოპბიტაცია“, ბუსუსებიანი პრეზერვატივები, ჩიორას და ხათუნა გოგორიშვილის ჩიხტიკოპები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბავშვების დამტერორებელი კონტროლიორები, დამამცირებლად გაიაფებული ტარიფები, კიდევ უფრო გამძაფრებული უმუშევრობა, აგრესიული პოლიციელები, ძველთაგან გადმოსული ჩინოვნიკები და ის უამრავი პრობლემა, რომლის გულისთვისაც 1 ოქტომბერს საღამოს 7 საათიდან ხალხი (დიახ, ხალხი და არა თქვენ, ზეთის გამათბობლებში ჩათბუნებულო „აგრესიულად მორჩილო უმრავლესობავ“) საარჩევნო უბნებს იცავდა.

ნუ იქნებით რომის პაპზე უფრო კათოლიკე.

ნუ იქნებით და „უშნოდ ნუ იბლატავებთ“.

რამდენი თეთრი გაქვთ ჩაგდებული №135-ე საკანში განთავსებულ „ქუჩის გაზეთის“ შემოწირულობების ყუთში?

აჰ, უკაცრავად, მაშინ არ გეცალათ?

რამდენჯერ იყავით „ქართული ოცნების აქციებზე“?

აჰ, მაშინაც არ გეცალათ?

რამდენჯერ დაგიხუჭავთ თვალი თუნდაც პირველი ოქტომბრის შემდეგ, როცა უგულავას მეხარკეები ავტობუსში სკოლის მოსწავლეებს აჯარიმებენ?

ჰოდა მაშინ, როცა რაიმე კრიტიკული აზრი გამოითქმება გამარჯვებული პარტიის მიმართ, როცა ვინმე რეალურ მოთხოვნას დააყენებს დღევანდელი ხელისუფლების წინაშე, ნუ გაწიწმატდებით და ივანიშვილზე მეტ „მეოცნებეობას“ ნუ დაიბრალებთ.

„აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“.

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ ეს სიტყვები საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე ითქვა და სწორედ ასეთი „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“ იყო ყველა ეპოქაში ხელისუფლების „გაჯეჯილების“ საფუძველი.

ეს წერილი სწორედ იმის გამო დავწერე, რომ არ მინდა დღევანდელი ხელისუფლება ახალ ნაცმოძრაობად გადაიქცეს. არადა „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“ ამ პროცესს ყველანაირად უწყობს ხელს.

სულო ცოდვილო, მაპატიე და ნაცმოძრაობის ნებისმიერი აქტივისტი, მილიონჯერ მირჩევნია „აგრესიულად მორჩილ უმრავლესობას“.

დიახ მირჩევნია, რადგანაც ეს სამზარეულოებში გულში მჯიღის მცემი მეხუთე კოლონა უფრო საშიშია, ვიდრე პირდაპირ მოსული მტერი.

არავინ არავისგან არ ითხოვს თავგანწირვას.

არავინ არავისგან არ ითხოვს რაიმე გადაწყვეტილებაზე უპირობო დათანხმებას და არც არის საჭირო.

თავისი საქმის მკეთებელი ნებისმიერი პროფესიონალი, რომელიც არ პოლიტიკანობს, საინფორმაციო საშუალებას იმიტომ უყურებს, რომ საკუთარი აზრი ჰქონდეს და საკუთარი ინტელექტი დაიკმაყოფილოს და რომლის შესრულებული საქმით თუნდაც ერთი ადამიანი კმაყოფილი დარჩება, ბევრად უფრო დიდი პატრიოტია, ვიდრე „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის“ ყველაზე აქტიური წარმომადგენელი.

„აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის“ ბრალია ნაცების ცხრაწლიანი გულაობა.

„აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის“ ბრალია სასამართლოს თავგასულობა.

„აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის“ ბრალია მასობრივი უმუშევრობა.

„აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის“ ბრალია ყველაფერი უბედურება და ამიტომაც მივუძღვენი ეს წერილი მათ.

მაპატიეთ იმ „აგრესიული“ აზრისთვის, რომლითაც ეს წერილი უნდა დავამთავრო, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ **სანამ აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა იქნება საქართველოში, ნებისმიერი ხელისუფლება, ნებისმიერი არჩეული, თუ დანიშნული მთავრობა ისევ ნაცმოძრაობად გადაიქცევა.**

გია გაბრიჭიძე

SIC!

სააკაშვილის სამინისტროებში მოწყობილი ფულის სამრეცხაოები

საზოგადოებისთვის კიდევ ერთი ხმაურიანი საქმე მზადდება, უფლებადამცველთა გაერთიანება ჩიორა თაქთაქიშვილის, მაკა მეტრეველისა და მაგდა ანიკაშვილის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 მილიონი ლარის უკანონოდ მიღების საკითხთან დაკავშირებით პროკურატურაში განცხადებას შეიტანს.

უფლებადამცველთა გაერთიანების ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მჟავანაძემ განაცხადა რომ კონტროლის პალატის ყოფილი თანამშრომლის ნოდარ ლიპარტელიანის მიერ მოწოდებული დასკვნებიდან მათთვის ცნობილი გახდა, რომ მთავრობის განკარგულებით, ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად მილიონ ლარს ურიცხავდა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ჩიორა თაქთაქიშვილს, აგრეთვე მაგდა ანიკაშვილსა და დავით ბაქრაძის მეუღლეს მაკა მეტრეველს.

ეს თანხები მიდიოდა „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების“ ფონდში, სადაც ეს პირები მუშაობდნენ. აღნიშნული თანხების მიღება ხდებოდა შემდეგი სქემით: ფინანსთა სამინისტრო 2009-2010 წლებში სასჯელაღსრულების ანგარიშზე რიცხავდა წლიურად მილიონ ლარს, შემდგომ ეს თანხა სასჯელაღსრულების სამინისტროდან მიდიოდა ორგანიზაცია „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების“ ფონდში.

2011-2012 წლებში კი, როცა ფინანსთა სამინისტრო წლიურად მილიონ ლარს ამჯერად უკვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ურიცხავდა, ეს უკანასკნელი ამ თანხას არასამთავრობო ორგანიზაციას ურიცხავდა“, – განაცხადა მჟავანაძემ.

მისივე განმარტებით, განათლებისა და სასჯელაღსრულების სამინისტროები ასრულებდნენ ტრანზიტის ფუნქციას, არ ხდებოდა ფონდის მიერ ფინანსური ანგარიშის წარმოდგენა, არ არსებობდა ინფორმაცია აღნიშნული თანხების ხარჯვის შესახებ და **„მიუხედავად ამისა, სამინისტროს მიერ უსაფუძვლოდ ხდებოდა ფაქტობრივი ხარჯების აღიარება“.**

მჟავანაძის შეფასებით, წინა ხელისუფლების ქმედებები აშკარად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ, **„სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლების დარღვევა, რომლებიც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და სამსახურებრივი უფლებების გადამეტებას გულისხმობს“** – აღნიშნა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

მჟავანაძის ამ განცხადებას დავით ბაქრაძე გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ არა მის მეუღლეზე, არამედ სხვა მაკა მეტრეველზეა საუბარი.

მჟავანაძის განცხადებას ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრი მაგდა ანიკაშვილიც გამოეხმაურა და იგი არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულა.

„მრჩება შთაბეჭდილება, რომ საუბრობენ ადამიანები, რომელთაც წარმოდგენა არ აქვთ ფონდის საქმიანობაზე, იმის თაობაზე, თუ როგორ მიიღებოდა ამ ფონდში გადაწყვეტილებები და ვის რა ფუნქცია და როლი ჰქონდა. ფონდის საქმიანობა დაარსების დღიდან იყო გამჭვირვალე. ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსები იყო სრულიად ღია და ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას შეეძლო მონაწილეობა. გადაწყვეტილებებს კი სამეთვალყურეო საბჭო კენჭისყრის საფუძველზე იღებდა“, – აცხადებს ანიკაშვილი.

როგორც ის ამბობს, საუბარი იმაზე, რომ რაიმე ხდებოდა ფარულად, რომ თანხა ვინმეს ანგარიშზე, მით უმეტეს პირად ანგარიშზე ირიცხებოდა, არის არაკომპეტენტურობა.

„შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია ის, რომ საბიუჯეტო სახსრებით ფინანსდებოდეს არასამთავრობო ორგანიზაციები, ეს პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხია და ამაზე შეიძლება მსჯელობა, მაგრამ ის, რომ აქ იყო რაიმე ფარული და კერძო პირები იღებდნენ თანხას ან მე ან ვინმე ან სხვა, აბსურდია“, – აცხადებს ანიკაშვილი.

როგორც ნიკოლოზ მჟავანაძე ამბობს, აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია, რომ მაკა მეტრეველი დავით ბაქრაძის მეუღლეა.

იხ. 7 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პუბლიცისტური ნამცვრევები

გიგი, თბილისი ივანიშვილს არ დაუთმო!

ნაციონალურმა მოძრაობამ საპარლამენტო არჩევნები დედაქალაქში პირწმინდად წააგო.

ყველაზე მეტი ადმინისტრაციული რესურსი აქ ჰქონდათ, მაგრამ, ათივე რაიონში მაინც წააგეს! უბრალო, ადამიანურ ენაზე ამას ნაციონალებზე წლობით გაბრაზებული ხალხის ადეკვატური რეაქცია ჰქვია.

ჰოდა, ორი გრამი ტვინი მაინც ხომ უნდა ჰქონდეს „მიშა მაგარიას“ მიმდევრებს, რომლებმაც მოიფიქრეს და პროკურატურისგან ბრალდებულ გიგი უგულავას პროცესზე ასეთი ლოზუნგი გამოიტანეს: „გიგი, თბილისი ივანიშვილს არ დაუთმო!“

იქვე, სხვა ნაციონალებს, გიგის მხარდამჭერთა პაწია ჯგუფს, ოდნავ განზოგადებული „აფიშა“ ეპყრა ხელთ: „თბილისს ივანიშვილს არ დავუთმობთ?!

პირდაპირ ვიტყვი: ამაზე დიდი სიბეცე, უტიფრობა, სიბრიყვე კარგა ხანია, არ მინახავს.

თბილისელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ უკვე დაუთმო თბილისი „ქართულ ოცნებას“, სხვადასხვა პარტიების მაჟორიტარ დეპუტატებს. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა კოალიციის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

მთელი საქართველოს პრემიერ-მინისტრი და არა თბილისისა.

მაინც რას ნიშნავს — „თბილისი ბიძინას არ დავუთმოთ?!

ვინ აშორიშორებს ერთმანეთს ხალხს და დედაქალაქს? ვინ უწყობს საბოტაჟს ისედაც დანგრეულ ჩვენს სახელმწიფოებრიობას და ეროვნულ ცნობიერებას?

ვინ ყოფს ქართველ ხალხს თბილისელებად და ქუთაისელებად, ბათუმელებად და ზუგდიდელებად, თელაველებად და გორელებად?!

ბოლოს და ბოლოს, ნაცებო, არ გაინტერესებთ თქვენი პრეზიდენტი რატომ არ აძლევს ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას? რატომ „აპატიმრებდით“ და ამსხვრევდით სატელევიზიო თეფშებს? არჩევნების წინა დღეს და უშუალოდ არჩევნების ღამეს რატომ დარბოდით ავტომატებით ხაშურში, ზუგდიდში, ახალქალაქში?

რატომ დააჩმორეთ და წაართვით სიმართლის თქმის უფლება საზოგადოებრივი მაუწყებლისა და „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს?..

რატომ წაართვით პროფესია გურგენა დონაძის ტელევიზიაში („რეალ-ტვ“) მუხლზე დაჩოქილ მედროვეებს?

და რაც მთავარია, სად გადაგეკარგათ, რატომ შეგაქციათ ზურგი ქვეყნის მთავარმა იურისტმა, იუსტიციის „უპატიოსნესმა“ მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა? რატომ გაქრნენ საქართველოდან შაშკინი, კეზერაშვილი, ზოდელავა, კოდუა, ახალაია, თოფურიძე და სხვა მრავალი?

იმიტომ ხომ არა, რომ... გიორგი ვაშაძის მსგავსი ახალი ტიპის ნაციონალები გამოგეჩეკათ?

ნამუსიც კარგი საქონელია!..

ვაშა გიორგის - ახალ მოლაყბეს...

ადვოკატი გოგიტა გაბაიძე, როგორც ჩანს, ძველმოდური, რიგითი გაიძვერა ვექილია და „ყველაფერი ეპატიება“. ეპატიება თუნდაც უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაც... აბა გაიხსენეთ, რა თქვა ერთ დროს ნაციონალების უახლოეს მეგობარსა და დამფინანსებელ „ინვესტორზე“ ჯოზეფ კეიზე:

„ჯოზეფ კეი არ არის ის ადამაინი, რომელიც თავისუფლებაში უნდა დადიოდეს“ (სტილი დაცულია), მაგრამ... იურისტ-პარლამენტარს, ნაციონალების ახალ სიამაყეს გიორგი ვაშაძეს, რა უფლება აქვს ქართველ ებრაელს იოსებ კაკიაშვილს (ახლა, მგონი ამერიკის მოქალაქეს) „ისტორიაში აბსურდული პიროვნება და მსოფლიო მნიშვნელობის თაღლითი“ უწოდოს?

აბსურდული პიროვნებები და თაღლითები ნაციონალებში მოიკითხეთო, შემოუთვლია ჯოზეფ კეის და საერთაშორისო სასამართლოში ჩივილით დამუქრებია...

მოკლედ, ამ დღეებში კიდევ ერთი სკანდალი ატყდება და, სავარაუდოდ, სააკაშვილის პარტიის ახალ ბოევიკებსაც „ვირის აბანოში“ მიაბრძანებენ.

თამამად შეიძლება ითქვს, რომ გიგა ბოკერიას „გაჩუმების“ შემდეგ, გიორგი ვაშაძეს დემაგოგიურ ლაქლაქში ვერავინ შეედრება:

„ჩვენ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ვართ ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ქართველი ხალხის სწორ გზაზე დაყენება, რომელიც უარს ეტყვის დსთ-ს, ევრაზიის კავშირს და ქვეყანას გამარჯვებამდე მიიყვანს... ჩვენ ხელისუფლებაში აუცილებლად დავბრუნდებით, რადგან ვართ ჯანსაღი ძალა... მაგრამ არ დავბრუნდებით ბოღმიან ადამიანებად, დავბრუნდებით შემრიგებლებად, მეგობრებად“...

თქვენ წარმოიდგინეთ, ამდენს ხანდახან მიხეილ საკაშვილიც ვერ ახერხებს, რადგანაც „სამართლიანად“ მიაჩნია, რომ:

ნაციონალების გამარჯვების შემთხვევაში დღეს „ძართული ოცნების“ გუნდლაც ადარ იძნებოდა. ისლა აკლდა „დემოკრატიის შუძურას“ უბადრუკი, ოროსანი, შევარდნაძის მუმიებს და ჯოჯოებს დამსგავსებული „მეოცნებეები“ ასე გაეჯეჯილებინა.

დიქტატორი პრეზიდენტის მეხოტბე რიგითი ჯარისკაცი, ძალად დაბრმავებული გიორგი ვაშაძე კი „მეორედ მოსვლას“ აპირებს, მაგრამ რომ არავინ არაფერს ეკითხება?

მით უფრო ქართველი ხალხი, რომელსაც ნაცების გამაოგნებელი და შემაძრწუნებელი ტყუილები, ტერორი და შეურაცხყოფა 9 წელიწადია ყელში ამოუვიდა...

გიორგი ვაშაძე

ასმაგად მტკივნეული პროცესი

თბილისის მერის გიგი უგულავას სასამართლო პროცესებზე (ჯერ — საქალაქოში, შემდეგ — სააპელაციოში) კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ **გაბორტალებული ნაციონალები გაიძვერა მოსამართლეების და ადვოკატების ხელდასხმით ცდილობენ თავის გადარჩენას!**

ერთსა და იმავე ბრალდებით ნაცების სასამართლოს წინაშე წარდგენილ, ცხრა მთას იქით გადამალულ დავით კეზერაშვილს პატიმრობა შეუფარდეს, მთავარი დამნაშავე გიგი უგულავა კი უდანაშაულოდ ცნეს!

ეს არა მხოლოდ „ძართული ოცნების“ არამედ მთელი ძართველი ხალხის, უპირველეს ყოვლისა კი, თბილისელების შეურაცხყოფაა!

ვინმე გოგიტა გაბაიძის მსგავსმა ადვოკატებმა, გასაგებია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გამფლანგველიც უნდა დაიცვან, კაცის მკვლელებიც და ბავშვის გამაუპატიურებელნიც(!), მაგრამ...

მოსამართლე ხომ ზნეობის, სინდის-ნამუსის, პატიოსნების, სამართლიანობის სიმბოლო უნდა იყოს?

ასეა ეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

მოსამართლე ხანგრძლივი დროით (მინიმუმ ათი წლით) არის არჩეული და იმხელა ხელფასი აქვს, ბარე სამ აკადემიკოსს რომ შეშურდება.

მაშ, ვინ არის ვინმე გიორგი არევაძე და ძმანი მისნი?

აშკარაა, რომ ყველაფრისმკადრებელმა ნაციონალებმა მთელი სასამართლო სისტემა გარყვნეს!

მიხეილ სააკაშვილმა კი, 2004 წლიდან მოყოლებული, არა ოდენ სასამართლო სისტემა ჩაიდო ჯიბეში, არამედ ქვეყნის მთავარი კანონი — კონსტიტუციაც!

„გონივრული ეჭვი“ მაქვს, მიხეილ სააკაშვილის, გიგი უგულავას, ნაცების მხარდამჭერი რამდენიმე ადამიანის, იურისტის დიპლომის მქონე არევაძის, უდიპლომო ალავიძის და გიგაურის მსგავსი პერსონების არსებობას **თვით მსოფლიოში ყველაზე გაიძვერა ვექილიც კი ვერ მოუძებნიდა გამართლებას!**

გიორგი არევაძე

გოგიტა გაბაიძე

იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე გაიძვერა ვექილიც ქართველი იქნება!

ვექილი შეიძლება იყოს გაიძვერა, ყველაფერზე წამსვლელი, მოსამართლე კი — არა!

ამიტომაც გახდა ასმაგად მტკივნეული ნაცების პოლიტიკურ მოუსავლეთში გადახვეწის პროცესი.

ყოჩაღ, ხათუნა ბერძენიშვილო?

საზოგადოებრივი მაუწყებელი და მისი საინფორმაციო სამსახური **(მგონი, უფრო „მაგარი“ სახელი — საინფორმაციო დეპარტამენტი ჰქვიას!)** მთლად ნაციონალური საბრიყვეთი რომ ყოფილა, ეს დეპარტამენტის ახლახან განთავისუფლებული ხელმძღვანელის ხათუნა ბერძენიშვილის ბრიფინგმა დაადასტურა.

საზმაუწყებლის ახალ გენერალურ დირექტორს გიორგი ბარათაშვილს მიკერძოებასა და ნაცების აშკარა მხარდაჭერაში ჩაუთვლია იუსტიციის ახალი მინისტრის თეა წულუკიანის იურისტობის საკითხის ეჭვქვეშ დაყენება და ამ ყურით მოთრეული ჭორის „სახალხო“ ტელევიზიის ეთერით „გაჟღერება“.

პირველი არხის ეთერით გადაიცემა, აგრეთვე, პირწავარდნილი ნაციონალების ეკა კვესიტაძის და დავით პაიჭაძის პოლიტიკური თოქშოუები... არა, მხარდაჭერა გამიგია, მაგრამ ისეთი ბრმა-ყრუობა და ცალმხრივობა, როგორიც თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ამ ორი „ვარსკვლავის“ მსჯელობაში იკითხება, არსად მსმენია. ვინ ეკითხება ხალხს, რის საზოგადოებრივი მაუწყებელი, რა საზოგადოებრივი მაუწყებელი, მთავარია, მიშა დავიცვათ, ნაცები მოვაბრუნოთ და... ხალხი და „ქართული ოცნება“ წყალსაც წაუღია!..

არ არის ასე, კოლეგებო! — თქვენ მიუტევებელ ცოდვებში ეფლობით!..

გიორგი ბარათაშვილი, როგორც ჩანს, ოდნავ მაინც აზრზე მოვიდა, ჟურნალისტური თავისუფლების სურვილით ზედმეტად გათამამებულმა (იქნებ გათავხედებულმაც!) ქალბატონმა ხათუნა ბერძენიშვილმა შეფი ბოლომდე გაიმეტა და ხალხის ტელევიზიის ეკრანიდან ნაცების მხარდაჭერის აშკარა ფაქტი (ფაქტები) თვითონვე გამოამზეურა!

მოდი და ნუ გაოცდები!

დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე იუსტიციის მინისტრი საკუთარი სურვილისამებრ აპირებს განმარტებები გააკეთოს. თეა წულუკიანს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მის იურისტობაში და მაღალ (უმაღლეს!) კვალიფიკაციაში ეჭვი არ მეპარება.

კოლეგებო, გირჩევთ, ხალხს ნუ აღიზიანებთ!

ჟურნალისტიკის ანაბანა საამისოდ „სკანდალური“ ინფორმაციების გადამოწმებას გაიძულებთ მხოლოდ!

სპარტაკ ქოგულია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სიყვარულით მაგთისგან!!

მილიონი ია – ქალბატონებისთვის

მიყვარხარ, დე! – ეს ფრაზა, ალბათ, ერთადერთია, რომელიც უსაზღვროდ ახარებს დედებსაც და შვილებსაც მთელი სიცოცხლე, რამდენჯერაც არ უნდა ითქვას ის. დედაშვილობა არასოდეს ხუნდება, ვერ ცვლის მას წლები და სიბერე, ვერ ერევა სიშორე, ვერ ანელებს წყენა, გაბრაზება... რადგან დედის გულში ყოველთვის ცხადად რჩება ის ბედნიერი დღე, როცა თავისი პატარა გაჩნდა... გაჩნდა და ის დედისთვის ისეთივე სათუთი დარჩა!

ასე მგონია, დედის დღეს განსაკუთრებული სითბოთი მხოლოდ საქართველოში აღნიშნავენ, აქ თითქოს გაზაფხულს შემოაქვს სხვა ხიბლი, სხვა სიფაქიზე. 3 მარტს – დედის დღეს ყვავილები არ აკლდა თბილისს, თუმცა კი, განსაკუთრებული იყო ლამაზი კალათიდან მორთმეული იების კონა წარწერით – **„სიყვარულით მაგთისგან!“** და არა მარტო თბილისში... საქართველოს ყველა ქალაქში მაგთიმ საოცრად ლამაზი დღე მოაწყო მანდილოსნებისთვის. „ყველა ქალბატონს ვულოცავთ გაზაფხულის დადგომას და გვსურს, მათ ჩვენი სიყვარული გავუზიაროთ, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში მაგთის პიარმენეჯერმა თათული ღვინიაშვილმა, – 3 მარტს საქართველოს ყველა ქალაქში მაგთი ქალბატონებს იების კონით დაასაჩუქრებს. თუმცა, ეს აქცია თითქმის მთელი კვირა – 8 მარტამდე გაგრძელდება. თუკი ქუჩაში წითელ ფერებში გამოწყობილ გოგონას შენიშნავთ, იცოდეთ, ეს ჩვენი წარმომადგენელია, რომელიც აუცილებლად გადმოგცემთ მცირე, მაგრამ სიყვარულით შექმნილ კონას. ყვავილები მხოლოდ მანდილოსნებისთვის არ არის განკუთვნილი, ბავშვებსაც და მამაკაცებსაც შეუძლიათ მიიღონ ის, რათა ჩვენი დახმარებით გამოხატონ სითბო და სიყვარული მათი ახლობელი ადამიანების მიმართ. ამის გარდა, რამდენიმე დღე თბილისის ქუჩებში წითელი მაგთიმობილი ივლის, რომელიც თქვენს განწყობაზე იზრუნებს და გაზაფხულის დღესასწაულების გალამაზებას შეეცდება...“

მაგთიკომი უდავოდ კრეატიულია

1 მარტიდან დაიწყო მაგთის ფეისბუკკონკურსი „მიყვარხარ, დე!“. ბავშვებს 12 წლის ასაკამდე შეუძლიათ ატვირთონ 15-წამიანი ვიდეო ან საკუთარი ნახატი მაგთის ფეისბუკგვერდზე და ასე მიულოცონ დედას „დედის დღე“. მას, ვისაც ექნება ყველაზე მეტი მოწონება ან გახდება მაგთის სიმპატია, შეუძლია მოიგოს სანატრელი მოგზაურობა დისნეილენდში. მსურველებს 15 მარტამდე აქვთ მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. კონკურსში უკვე ბევრი მონაწილეობს, თუმცა, საგზური მხოლოდ ოთხ ბავშვს ერგება და მშობელთან ერთად გაემგზავრება დისნეილენდში გასართობად. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მაგთიმ საოცრად კარგი საჩუქარი მოუმზადა შეყვარებულებს ვალენტინობის დღესთან დაკავშირებით, როდესაც ასეთივე საინტერესო კონკურსის მეშვეობით გამარჯვებული წყვილები „რომაული არდადეგების“ საგზურით დააჯილდოვა.

* * *

...კვირას მაგთის რუსთაველის ოფისში მართლაც უამრავი სტუმარი ირეოდა, განსაკუთრებით ხალისობდნენ ბავშვები. მონდომებით ხატავდნენ მზეს, ყვავილებსა და ფერად ბუშტებს დედიკოს გულის გასახარებლად – დედიკოს გულის სიხარულები, პოზიორობდნენ კამერების წინ, თამაშობდნენ და გულწრფელი უანგარობით ჩუქნიდნენ დედებს მაგთისგან სიყვარულით მორთმეულ იებს. ოფისში შემთხვევით მოხვედრილი მამაკაცების უმრავლესობა შეცბუნებული ბრუნდებოდა უკან, როცა მას იებით ხელში ეგებებოდნენ წითელკაბიანი გოგონები. – მაღალი და საშუალო რანგის მენეჯერები. თავიდან ვერ ხვდებოდნენ, რომ ეს იყო არა მათთვის, არამედ მათთვის საყვარელი ქალბატონებისთვის განკუთვნილი ია... რუსთაველის გამზირზე უხვად გასცემდნენ იებს, როგორც სიმბოლოს სიყვარულისას და გამვლელ ქალბატონებსაც სიამოვნებისგან ღიმილი ეძალებოდათ, სიხარული ჩაუდგებოდათ ხოლმე თვალებში. მიჰყვებოდნენ ქუჩას და მიჰქონდათ გაზაფხულის იის სურნელი. თითქოს ყველას ერთნაირად უხდებოდა ხასხასა წითელი ფერის გულის ფორმის ქაღალდშემოხვეული იის კონა-წარწერით „სიყვარულით მაგთისგან“!!!

ნია ფიფია

◎ „ღმერთო, რატომ აგვაცილე მეტეორი...“

„რა საყვარელია, დღეიდან არსენა დაუძახეთ, გთხოვთ...“

„მივაწვეთ, ავაგდოთ გოიმივით და სასახლიდან გამოვიყვანოთ.... თუ დაცვა არ უნდა, არც რეზიდენცია არ უნდა უნდოდეს, არა?! “ – ამ დღეებში ფეისბუკზე მიხეილ სააკაშვილის ქმედებებს განსჯიან, განსაკუთრებით აქტიურობს შალვა რამიშვილის გვერდი... აქ უამრავ აზრს ნახავთ, თუ რას ფიქრობს ხალხი ბაქოდან სპეციალური რეისით ჩამოფრენილ პრეზიდენტზე, რომელსაც სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურმა 30-დე მანქანა დაახვედრა, რაზეც მან უარი თქვა და მეუღლესთან ერთად საკუთარ ელექტრომობილში ჩაჯდა... საქართველოს პრეზიდენტმა და სანდრა რულოვსმა თვითმფრინავიდან ელექტრომობილამდე გზა ფეხით გაიარეს, შემდეგ კი რეზიდენციამდე მანქანას თვითონ სააკაშვილი მართავდა... ნახავთ იმასაც, ადამიანები როგორ აფასებენ სააკაშვილის სიტყვებს, საქართველოს პრეზიდენტმა თბილისის აეროპორტში რომ განაცხადა...

„ხომ ამბობენ, თურმე, რამდენს ხარჯავს პრეზიდენტი დაცვაზე, რამდენს ჭამაზე, სმაზეო? ჰოდა, წაიყვანონ ეს მანქანები და დააყენონ ფარეხში, ის ბენზინი კი, რაც ამათ ავზში ჩასასხმელადაა საჭირო, გადაუნაწილონ იმ ხალხს, ვისაც ჰპირდებოდნენ ბენზინის გაიაფებას“...

„საქართველოს მტერი! ღმერთო რატომ აგვაცილე მეტეორი? “

„ატეხილია უშნოდ, დაგვღალა! ეძებს ეს კაცი და დაიჭერს...“

„ცოცხი უთხრია...უკვე გაჩალიჩებული აქვს და იმიტომაც ჭიკჭიკებს ეგრე“...

„მიშას ნაცების ეშინოდეს! მატრაკვეცობას არ ანებებს თავს, სასაცილო ხდება უკვე“...

„გიჟი დაგვიბრუნდა, ხალხო... სასაცილო და მასხარა პრეზიდენტი გვყავს... ფსიქიატრიულის კარეტა დაეხვედრებინათ – ჯანიანი სანიტრებით...უფრო უპრიანი იქნებოდა!!!“

„ეგ მაგ ქინდერი მანქანით სადმე საცობში მოხვდეს და ანახებს ხალხი სეირს, კი ნამდვილად გაიჩალიჩებს. ფსიქიტრიულია მაგის პრეზიდენტობის ბოლო წერტილი...“

„გაიბუტა მიშა: ну и пошёл к чёрту.. ერთი ორჯერ პამპერსს შეიცვლის, მერე თვითონ შეეხვეწება დაცვა, დაცვაო...“

„თუ აქვს უფლება თვითნებურად უარი თქვას დაცვაზე, დაანებონ თავი, თუ არა აქვს უფლება, მაშინ გამოაცხადონ საჯაროდ და ყველასთვის გასაგებად, რომ პრეზიდენტი კანონს არღვევს.“

„რაღაც დარწმუნებით ცუდად თქვა საწვავის ფასზე, ალიევი დაპირდა ეტყობა შენ როგორც გინდა, მიშაო...“

„რას ეხვეწებიან, იაროს როგორც მოქალაქე სააკაშვილმა... ახლა, მიშა, დააწექი ქუთაისისკენ საჩხერის გავლით!“

„შალვა, ურჩიე, რომ გამოიდარებს, ველოსიპედით იაროს... ზედგამოჭრილი იქნება მისთვის. შლემით თუ ივლის, შეიძლება კვერცხი აიცილოს.“

„საცობში ხარ, უცებ გაიხედავ და ... გვერდზე მიშა! შეიძლება ავარია მოახდინო!“

„ადრე რატომ არ ამბობდა უარს – მთელი გარნიზონი რომ დასდევდა და საერთოდ ეგ ადამიანი რა ფუნქციით გვაყვედრის თავს 20 იანვრის შემდეგ?“

„ეგ ახალ პროვოკაციაზე ჩალიჩობს და იაროს, გაანებეთ თავი...“

„სასაცილო სიტუაციაა, არ მინდაო და დასდევენ ჯიპები კუდში, არა და ვადაგასულია, წავიდა – გაგვართო, იქ თავისი და მეუღლის ჩაცმულიბით ალიევები გაართო, ჩამოვიდა და ეხვეწებიან – დაგიცავთო, ვაიმე, მაპატიეთ და გამეცინა კარგად. კურიოზების დროა თუ ჩვენ ვართ რაღაც ისე?“

„ეს ყურცქვიტა რა გულადი ყოფილა, დაცვის გარეშე დადის ვითომ, სახლში კი გვერდზე ოთახში მარტო გასვლა ეშინია...“

„რა საყვარელია, დღეიდან არსენა დაუძახეთ, გთხოვთ...“

„დავიღალე რა ამ მართლა მასხარას საქციელით, მასხარის როლი რომ აქვს პირზე აკრული სინამდვილეში ერთი სული აქვს ყველანი დაგვიჭიროს და ჩამოგვახრჩოს.“

„თან როგორი პატარა ბავშვივით გაბუტული ტონით ლაპარაკობს ეს ბებიას ბიჭი, მაგან ერთ ადგილას კოცნოს ხალხს, რომ ელექტრომობილში ზის და არა ელექტროსკამზე...“

„ისე თვითმფინავით რაღატომ სარგებლობს ეგ ჩემის ტრულაილა. ბარემ მაგაზეც გაბუტულიყო და თავისი ელექტრომობილით ჩასულიყო ბაქოში...“

„ცოტა ხანში გამოაცხადებს, სანდრაც აღარ მჭირდება წაიყვანეთ, მარტო ვიცხოვრებო...“

ნატა ნიბლაძე

◎ ინფორმაცია

„ქალები პოლიციაში“

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ რეგიონულ კონფერენციას – „ქალები პოლიციაში“ დაესწრო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, კონფერენცია ყოველწლიურად ტარდება და ორგანიზებულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში.

მისი მიზანია, სამართალდამცავების კვალიფიკაციის ამაღლება და პოლიციაში ქალის როლის წარმოჩენა. კონფერენციის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართველი პოლიციელი ქალები და მათი კოლეგები უკრაინიდან, მოლდოვადან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წერილი რედაქციას

ძმები დუმბაძეების ამბავი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს!

ვსარგებლობ შემთხვევით და პირველად ვულოცავ სრულიად საქართველოს 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებას, რომელიც გადარჩენას საჭიროებს, განსაკუთრებით აჭარაში. აქ განუსაზღვრელმა უფლებებმა თავი მოიყარეს მურმან დუმბაძის ხელში, რომლის პირადი თვისებების გამო ეს უფლებები აჭარისათვის და „ქართული ოცნებისათვის“ სახიფათოა. დღეს აჭარას აკონტროლებენ ძმები გურამ, ნუგზარ და მურმან დუმბაძეები, რომელთაგან აქტიურ და ღია პოლიტიკურ საქმიანობას მურმანი ეწევა. მან უჩვეულოდ მაღალი ნდობა მოიპოვა „ოცნების“ ხელმძღვანელობის წინაშე და აჭარაში დაასახელებინა და პროპორციულ სიაში გამსვლელი ადგილი მიუჩინა გურამ ვარშალომიძის ფავორიტს, ნაციონალ ბიზნესმენს ჯემალ ფუტკარაძეს, შემდეგ კი თავმჯდომარედაც შესთავაზა არმაზ ახვლედიანის საწინააღმდეგოდ. უფრო, მეტიც, აჭარიდან ვერავინ მოხვდა „ ოცნების“ სადეპუტატო (პროპორციული) სიის გამსვლელ ნაწილში. დუმბაძე კი ბათუმისათვის შეუფერებელი მაჟორიტარია. ამ გარემოებამ სერიოზულად შეარყია აჭარაში „ქართული ოცნების“ ღირსეული წარმატების შანსები. აქედან გამომდინარე, ისმება კითხვა: რისთვის გაისარჯა ასე უცნაურად მურმან დუმბაძე, რატომ და რა მოტივით ჩაიდინა აჭარისათვის საწინააღმდეგო საქციელი? რატომ არც ერთი აჭარელი არ გამოიყვანეს სიტყვით ბათუმში, აგვისტოს მიტინგზე, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის დროს? ამისთვის ჯერ საჭიროა, გაირკვეს ვინ არიან ძმები დუმბაძეები, ასე რომ „აგულავდნენ“ ერთდროულად როგორც პოლიტიკაში, ასევე ბიზნესში.

ძმებმა დუმბაძეებმა აჭარაში ბიზნესი 90-იან წლებში დაიწყეს, ისინი წარმატებით ახერხებდნენ სამეწარმეო საქმიანობის შეთავსებას ოპოზიციურ-პოლიტიკურ საქმიანობასთან და ასლანის ხელისუფლებასთანაც ყოველთვის ადვილად პოულობდნენ საერთო ენას. 1997 წელს, როცა ვითარებამ ასე მოითხოვა, ბიზნესის წარმოების გაიოლების მიზნით, ისინი მოჩვენებითად ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის რიგებიდანაც კი გასულან და მას მხოლოდ 2003 წელს დაუბრუნდნენ.ძმებს თავიანთ საქმიანობაში როლები ყოველთვის განაწილებული აქვთ. ისინი თავიანთ ბიზნესებს ერთობლივად ავითარებენ და ფლობენ, თუმცა, ტაქტიკური მოსაზრებით, მათ უპირატესად ცალ-ცალკე უძღვებიან. შარშან კი რესპუბლიკელებიდან გარიცხვა გათამაშდა და მურმან დუმბაძეს სამოცამდე თანაპარტიელი გაჰყვა, ესეც მოჩვენებითი იყო. აჭარის უმაღლესი საბჭოს „ქართული ოცნების“ პროპორციული სიაც სწორედ ამ ხალხით გაივსო.

გურამი თავისი პროფესიით უძღვება სტომატოლოგიურ ბიზნესს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენში და ტრადიციულად ემსახურება გავლენიან და მაღალი სახელისუფლებო წრეების წარმომადგენელ პაციენტებს. მურმანი ამუშავებს კომპიუტერულ ცენტრს შპს ,,კანდელს“ (დამფუძნებეული და ამოქმედებულია 1998 წელს), სადაც მიმდინარეობს კომპიუტერის ფასიანი სწავლება. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ნუგზარის ეგიდით ფუნქციონირებადი ბიზნესებია. უშუალოდ ნუგზარს მიჰყავს სამი მსხვილი ბიზნესი:

ა) ბათუმის კრუინგული კომპანია შპს „აკომარტი“ (დაფუძნებული და ამოქმედებულია 1997 წელს), რომელიც უცხოეთის სანაოსნო გემებზე წელიწადში ასეულობით მეზღვაურს ასაქმებს მაღალი საკომისიო გადახდევინების საფასურად. იგი ამ სფეროში ქვეყანაში ერთ-ერთი ლიდერია. ეს ხდებოდა ასლან აბაშიძის რეჟიმის დროს, რომლის გარეშე ხიდან ხეზე ჩიტი ვერ ფრინავდა...

ბ) სათევზე მეურნეობა – შპს „აკავრეთა“ (დამფუძნებული და ამოქმედებულია 2007 წელს), რომელიც, ასევე ამ სფეროში ერთ-ერთი ლიდერია საქართველოში. იგი არის თანამედროვე ჰიდროტექნიკური ნაგებობა, შემავალი და გამავალი არხებით, თევზის სანაშენე აუზებით, დამცავი ჯებირებით და საფილტრავი მოწყობილობით. საწარმო მდებარეობს ქედის რაიონში, მდინარე აკავრეთზე მის მესაკუთრეთაგან ყველაზე მეტი – 22%-იანი წილის მფლობელი და ფაქტობრივი ხელმძღვანელია ნუგზარ დუმბაძე. საწარმო ეწევა უპირატესად კალმახის მოშენებას და რეალიზაციას, უფრო ნაკლები რაოდენობით – ზუთხისას. საკალმახე მეურნეობა გათვლილია 300 ათას ტონა თევზის წარმოებაზე, ხოლო ფირმის სათევზე ინკუბატორის წარმადობა შეადგენს 2-3 მილიონ ლიფსიტს. საწარმოს ტერიტორიაზე აქვს თავისი ავტონომიური ჰესი და სასტუმრო, ხოლო ქ. ბათუმში თევზის საფირმო მაღაზია ჭავჭავაძის ქუჩაზე.

გ) სათევზე მეურნეობა შპს „იხტიოსი“ (დაფუძნებულია 2010 წელს, ამოქმედებულია 2012 წელს), რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით ამიერკავკასიაში პირველი დახურული თევზსაშენია. საწარმოს ჰყავს ოთხი მესაკუთრე, 25-25%-იანი წილებით. მათგან ერთ-ერთია ნუგზარ დუმბაძის ცოლი **მარინა ბერიძე,** რომელიც ამავე დროს ამ საწარმოს დირექტორია. მას აჭარის საკანონმდებლო ორგანოში მაღალი თანამდებობა ჩააბარეს, ასევე მაღალი თანამდებობა ეჭირა ვარშალომიძე-მახარაძის უმაღლეს საბჭოშიც. საწარმო მდებარეობს ქ. ბათუმში, მეჯინისწყალზე. მის საკუთრებაშია 2700 კვადრატული მეტრი მიწა, რომელზეც განლაგებულია 1000 კუბური მეტრის ტევადობის 24 თევზსაშენი აუზი. საწარმო აღჭურვილია მექანიკური და ბიოლოგიური ფილტრებით, ჟანგბადის ოქსიგენერატორებით და მუშაობს ძირითადად ზუთხის მოშენებაზე, რომლის წარმადობა შეადგენს 60 ტონას. აქ აგრეთვე, წარმოებს ზუთხისა და კალმახის სამრეწველო გადამუშავება, ხიზილალის, შებოლილი თევზისა და კონსერვების გამოშვება.

თითქმის ყველა ზემოაღნიშნულ ბიზნესში შეუცვლელ ბუღალტერს წარმოადგენს **ავთანდილ ბერიძე,** რომელიც იყო „ოცნების“ ბათუმის შტაბის ხელმძღვანელი და აჭარის უმაღლესი საბჭოს სადეპუტატო სიის პირველი ნომერი, დღეს არის აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

თევზის მოშენებისა და მისი სამრეწველო გადამუშავების მიზნით ძმებ დუმბაძეებსა და მათ პარტნიორებს დღემდე კომერციული ბანკებისგან სესხად აღებული აქვთ 1 750 000 დოლარი, კერძოდ, 2007 წელს „ტაოპრივატ ბანკისაგან“ – 200 000 დოლარი: ასევე, 2007 წელს „თიბისი ბანკისაგან“ – 200 000 დოლარი; 2008 წელს „ვითიბი ბანკისაგან“ – 500 000 დოლარი; **გასამრჯელოდ ამ ბანკის ხელმძღვანელს გიორგი თავართქილაძეს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრობა მიართვეს.** 2011 წელს, მთავრობაზე ყველაზე მეტად დამოკიდებელი „ლიბერთი ბანკისაგან“ (ხელმძღვანელი – ყოფილი პრემიერი ვლადიმერ გურგენიძე) – 800 000 დოლარი; **2012 წელს „ქართუ ბანკისაგან“ – უპროცენტო 50 000 დოლარი, ამ ბანკს ხელმძღვანელობდა არჩილ ხაბაძე, რომელსაც აჭარის მთავრობა ჩააბარეს.** აღებული საბანკო სესხების სანაცვლოდ ძმებსა და სხვა პარტნიორებს აღნიშნულ ბანკებში დაგირავებული აქვთ თავიანთი ბიზნესები და აგრეთვე, სხვა ქონება. ამჟამად მათ ბანკებზე მარტო ძირის თანხის სახით ჯერ კიდევ გადასახდელი აქვთ 700 000-მდე დოლარი.

2011 წლის 21 მაისს ბათუმში მთავრობამ აჭარის ტელევიზიის ბლოკირებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით დააპატიმრა, გაასამართლა და ხანგრძლივი ვადით დაატუსაღა 7 მოქალაქე, რომელთაგან ერთ-ერთი შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ იმყოფებოდა. აქციის ორგანიზატორი იყო მურმან დუმბაძე. ეს მაშინ გავრცელებულ ტელეკადრებშიც ჩანს, როცა იგი ტელევიზიის ხელმძღვანელობას 15 წუთს აძლევს, რომლის შემდეგ შენობაში ძალით შეიჭრებოდა, რომ პირდაპირ ეთერში გასულიყო. დაკავებულები (ბრალდებულები) როგორც წინასწარი გამოძიებისას, ასევე სასამართლოზე მიცემულ ჩვენებებში აღნიშნავდნენ, რომ აქციის უშუალო ხელმძღვანელი იყო მურმან დუმბაძე და მისი მითითებით მოქმედებდნენ. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე მთავრობას მურმან დუმბაძე არ უძებნია, არ დაუპატიმრებია, მის მიმართ არც სისხლის სამართლის საქმე აღუძრავს და არც ადმინისტრაციული სამართალწარმოება დაუწყია. უფრო მეტიც, ხელისუფლებას იგი ამ საქმეზე არც მოწმედ დაუკითხავს საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში, რომელიც 8 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. დაკავებულები (ბრალდებულები) ელემეტარული ზნეობრივი პრინციპიდან გამომდინარე ვერ მოითხოვდნენ მათი თანამებრძოლის, მურმან დუმბაძის მათსავით დაკავებას, მოწმედ დაკითხვას ან გასამართლებას. მაგრამ რახან ხელისუფლებას რატომღაც არ აინტერესებდა ამ საკითხზე მურმან დუმბაძის აზრი, თავად მურმანს შეეძლო დაპატიმრებულების ადვოკატთა მეშვეობით შუამდგომლობის დაყენება მისი მოწმედ დაკითხვის თაობაზე, რათა ნათელი მოჰფენოდა თუნდაც ერთ-ერთის – მუხაშავრიას აშკარა უდანაშაულობას.

მურმან დუმბაძეს საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე პროცესუალური წესისამებრ არ გამოუყენებია ზემო აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობა, რათა პირნათელი ყოფილიყო თავისი თანამებრძოლების წინაშე. მან პრესაში რამდენჯერმე გააჟღერა მხოლოდ ფუჭი, პროპაგანდისტული განცხადება, რომ მზად ვარ, ჩვენება მივცე და თავი აარიდა საქმეში არსებით გარევას. ამას იგი ახერხებდა გ. ვარშალომიძის წყალობით.

განვლილ პერიოდში მურმან დუმბაძე თავისი ინიციატივით არ დახმარებია არც დაპატიმრებული თანამებრძოლების ხელმოკლე ოჯახებს, თვით პატიმრებს ციხეებში, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა ეკონომიკურად გაწამებულმა პატიმრების ოჯახის წარმომადგენლებმა, ერთი წლისთავზე, 2012 წლის ზაფხულში, მას სათანადო მორალური ვალდებულება შეახსენეს და მისგან მხოლოდ ერთჯერადად მცირედი თანხა მიიღეს.

მურმან დუმბაძეს, აჭარის ტელევიზიაში მისი უცნაური შეჭრის მცდელობიდან ორი დღის შემდგ, დავალებისამებრ ბათუმიდან თბილისში ორგანიზებულად უნდა ჩაეყვანა „ სახალხო კრების“ აქტივისტების მნიშნელოვანი რაოდენობა. მის ხელში იყო წამსვლელი აქტივისტებისა და სატრანსპორტო საშუალებების სია სათანადო მონაცემებით. 23 მაისს, დილით მურმან დუმბაძემ გაუფრთილებლად მიატოვა ხალხი, მათ გარეშე გაემგზავრა და დაუბრკოლებლად ჩავიდა თბილისში. გზად მან თან გაიყოლია ზემოაღნიშნული სიებიც, რამაც დაბნეულობა და დეზორგანიზაცია გამოიწვია ბათუმში მყოფ აქტივისტთა რიგებში. ამასობაში პოლიციამ, რომლის ხელშიც აღმოჩნდა ზემოაღნიშნული სიები, მოახდინა თბილისში გზად მიმავალი აქტივისტებით დატვირთული თითქმის ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალების ბლოკირება და მგზავრი აქტივისტების შეფერხება-დაკავება. ფაქტობრივად გაყიდა თანამებრძოლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისმება კითხვა:

ა) როგორ მოახერხეს არსებული ხელისუფლების რადიკალურმა ოპოზიციონერმა ძმებმა დუმბაძეებმა ბოლო 5 წლის განმავლობაში თავიანთი ბიზნესების ესოდენ აყვავება, ქონების დაგროვება, სამ-ოთხსართულიანი სახლების აგება, ძვირადღირებული ჯიპების შეძენა, განსაკუთრებით ჯერ აბაშიძის, შემდეგ ვარშალომიძე-სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, როცა ეს რეჟიმი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს საიმედოდ უხშობს ფინანსების ყველა წყაროს და უმკაცრესად აკონტროლებს ფულად ნაკადებს? რატომ გაუადვილდათ მათ მთავრობიდან სრული კონტროლის ქვეშ მყოფი ბანკებიდან სურვილისამებრ დიდი ოდენობით სესხების აღება? რის სანაცვლოდ ეძლევათ მათ უზარმაზარი სესხები? მთავრობა დუმბაძეებს რატომ არ უშლიდა ხელს, არ ავიწროვებდა, არ უხურავდა და არ ართმევდა ბიზნესს და პირიქით, მათ ასე რატომ ენდობოდა, გულუხვად ეხმარებოდა და მფარველობდა კიდეც? **რატომ პატიობდა შპს „აკავრეთას“ ბიუჯეტში გადასახდელ ათეული ათასობით ლარის ჯარიმას?** რატომ სტუმრობდნენ ხშირად აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე და მინისტრები დუმბაძეების სათევზე მეურნეობებს, ესწრებოდნენ მათ პრეზენტაციებს და უწევდნენ ფართო, სატელევიზიო რეკლამას?

ბ) აჭარის ტელევიზიასთან ზემოთ აღნიშნული შემთხვევის გამო მურმან დუმბაძემ როგორ აიცილა თავიდან ის პასუხისმგებლობა, რაც თავის თანამებრძოლებს დაეკისრათ? მართლმსაჯულებამ რატომ დაინდო მურმან დუმბაძე და თუნდაც არ დაკითხა მოწმის სახით? თავად მურმან დუმბაძემ რატომ არ გამოიყენა პროცესუალური შესაძლებლობა, რათა მიეღწია ჩვენების მიცემისათვის და მხოლოდ პროპაგანდისტულ განცხადებებს რატომ დასჯერდა? რატომ აირიდა მან აქტივისტების თბილისში ორგანიზებულად ჩაყვანის ვალდებულება, რატომ მიატოვა ბათუმში ისინი, სხვების ბლოკირების ფონზე შეუფერხებლად როგორ ჩავიდა თბილისში და როგორ მოხდა პოლიციის ხელში თბილისში წამსვლელი აქტივსტებისა და მანქანების მონაცემები? მოხმობილი ფაქტები საკმარისია დავასკვნათ;

ძმები დუმბაძეები ხალხს თვალებს უხვევენ, თავს დიდ ოპოზიციონერებად ასაღებენ, სინამდვილეში ხელისუფლების მიერ გადაბირებულნი, მათთან შეკრული, ოპოზიციაში ჩანერგილი ხალხია. ამისთვის ისინი დიდ ფინანსურ დახმარებას იღებენ, მომგებიან ბიზნესებს ავითარებენ და ყოველგვარი მფარველობით სარგებლობენ. მურმან დუმბაძე ხელისუფლების დავალებით ხშირად ასრულებდა საძრახის დავალებებს.

კიდევ ერთი კითხვა ბატონი ბიძინა ივანიშვილის საყურადღებოდ: მ. დუმბაძემ ვერ გაბედა თავის მშობლიურ ხელვაჩაურის რაიონში კენჭისყრა, რადგან იქ კარგად იციან მისი ბინძური წარსული. თუ „გაახურებს“, ნიღაბსაც ჩამოვხსნით და გაზეთშიც გამოვაქვეყნებთ მისი სირცხვილის ფაქტს. ავთანდილ ბერიძემაც, რომელიც სიის პირველი ნომერი იყო და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა, ხელვაჩაურში კენჭი ვერ იყარა. სამწუხაროა, რომ აჭარაში საკადრო პოლიტიკას მურმან დუმბაძის ხელით ისევ გურამ ვარშალომიძე განაგებს. ხალხმა კარგად იცის, ვინ – ვინ არის. აჭარაში ხმები მიიღო თავად ბიძინა ივანიშვილმა და არა „ქართულმა ოცნებამ“ და მურმან დუმბაძემ. სამწუხაროა, რომ დღესაც პატივში არიან ვარშალომიძეთა კადრები და ღირსეული, სააკაშვილის მოწინააღმდეგე ადამიანები იდევნებიან. ყველაფერს დღეს რეგიონში მურმან დუმბაძე წყვეტს და საზოგადოებრივი აზრი მასხრადაა აგდებული.

მაყვალა თევზაძე,
ქ. ბათუმი

რედაქციისაგან: წერილს ვბეჭდავთ სტილის დაცვით, თავისუფალი პრესის პრინციპით. სტილისტურ ლაფსუსებსა და ფაქტების სისწორეზე რედაქცია პასუხს არ აგებს. ბატონი მურმან დუმბაძე საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერია და აჭარის მთავრობის საკადრო პოლიტიკაში ნამდვილად არ უწდა ერეოდეს.

ინფორმაცია

ხანძარი, თუ წინასწარ მომზადებული დივერსია?

სავაჭრო ცენტრ „საბას“ მფლობელი ხანძრით მიყენებულ ზარალსა და ხანძრის ახალ სავარაუდო მიზეზზე საუბრობს. როგორც სავაჭრო ცენტრის მფლობელმა პაატა კაჭარავამ განაცხადა, პირველადი მონაცემით, ზარალის ოდენობა 6 მილიონამდე ლარს შეადგენს.

– ამ დროისთვის, ჩვენი მონაცემებით, ზარალი 6 მილიონ ლარამდეა. აქედან 3 887 000 ლარის ზარალი უშუალოდ კომპანიას მიადგა, 2 მილიონი კი – მოვაჭრეებს. თუმცა, ეს არ არის ბოლო მონაცემები. კომისია აგრძელებს სამუშაოებს და ზარალის ზუსტი ოდენობა ალბათ ორ კვირაში გვეცოდინება, – აღნიშნა კაჭარავამ. გარდა ამისა, კაჭარავა ახალ ვერსიაზე საუბრობს. მისი ინფორმაციით, „დინამო არენას„ მიმდებარე ტერიტორიაზე ავეჯის ბაზრობა იხსნება, საიდანაც „საბას„ მეიჯარეებს გადასვლას სთავაზობდნენ.

„დინამოს“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე იხსნება ავეჯის ბაზრობა. რამდენიმე ობიექტი, თუ არ ვცდები, იქ უკვე არის. იქიდან მოდიოდნენ ჩვენს მოვაჭრეებთან და გადასვლას სთავაზობდნენ, რაზეც უარი მიიღეს. მაქვს ერთ-ერთი ვერსია, რომ მომხდარი შესაძლოა, ამ ფაქტს უკავშირდებოდეს. ჩემი ინფორმაციით, ამ ტერიტორიაზე ავეჯის ბაზრობისთვის ფართს შპს „დინამო არენა“ ფლობს, – აღნიშნა კაჭარავამ. ამასთან, მისივე თქმით, ჯერ დაზუსტებით ვერ იტყვის, თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია ხანძარი 26 თებერვალს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კომუნიკაციების მარეგულირებელი სამსახური პარალიზებულია

რატომ გაქრა კიდევ ერთი ქალაქანაზღაურებადი მოხელე?

საქართველოს **კომუნიკაციების ეროვნული კომისია ფაქტობრივად ხელმძღვანელის გარეშეა დარჩენილი, მაგრამ ოფიციალურად ირაკლი ჩიქოვანი ჯერ ისევ თავმჯდომარედ მიიჩნევა. როცა გაქცეული მინისტრების ლამის კასკადი გვაქვს ქვეყანაში, ირაკლი ჩიქოვანის გაუჩინარება მაინც და მაინც დიდი მოულოდნელობა არ უნდა იყოს, მაგრამ ეს ადამიანი მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ, ვინმემ ხომ უნდა იცოდეს?! მისი ერთგული თანამშრომლები აქამდე ჯიუტად ამტკიცებდნენ, რომ ის კუთვნილი შვებულებით კანონიერად სარგებლობდა და ამიტომ იყო ქვეყნიდან წასული, მაგრამ რეგლამენტი 14 თებერვალს ამოიწურა... ხელმძღვანელი კი ისევ არ ჩანს....**

მარეგულირებელი კომისიის მუშაობა საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა საინტერესო, რაც საკომუნიკაციო სივრცეში ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებული ახალი მე-9 არხი შემოვიდა და ყოფილმა ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ უკომპრომისი ბრძოლაში კომუნიკაციების ეროვნული კომისია ჩაება. კარგად გვახსოვს, ანტენების დაყადაღება, ზოგი მაუწყებლისთვის შექმნილი პრობლემები და სხვა, სადაც ირაკლი ჩიქოვანის სახელი, როგორც ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერისა, სწორედ მაშინ გამოიკვეთა.

საპარლამენტო არჩევნების წელიწადი მმართველ ძალასა და ოპოზიციას შორის მძაფრი დაპირისპირებით გამოირჩეოდა. ხელისუფლებამ იერიში ტელეკომუნიკაციის სექტორზე მიიტანა. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ჰქონდა შესაძლებლობა კრიტიკულად განწყობილი მაუწყებლებისთვის ეყურებინათ მაშინ, როდესაც მმართველ ძალასთან ასოცირებული არხები აბსოლუტური უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი იყო. არჩევნების წინა პერიოდში მოხდა „გლობალ ტვ-ისა“ და ტელეკომპანია „მაესტროს“ კუთვნილი თეფშების საყოველთაოდ გახმაურებული დაყადაღება, კომპანიების შემოწმება, დაჯარიმებები, რომელიც ახლადშექმნილ ოპოზიციურ ტელევიზიას – მე-9 არხს უკავშირდებოდა.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის ინტერესთა კონფლიქტის საკითხი კიდევ ერთხელ აქტუალური 2012 წელს გახდა, მას შემდეგ, რაც კომისიის ყოფილმა თანამშრომელმა ფარული ვიდეოჩანაწერი გამოაქვეყნა, რომელშიც სავარაუდოდ ირაკლი ჩიქოვანი ერთ-ერთ სამაუწყებლო ოპერატორის წარმომადგენელთან საუბრის დროს აცხადებდა, რომ ვერ შეძლებდა აღნიშნული კომპანიის საქმიანობისათვის ხელის დაფარებას. ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ჩიქოვანი წლების განმავლობაში ლობირებდა „კავკასუს ონლაინის“ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევას. კერძოდ, ავტორიზებული პირები ახორციელებდნენ არხების უნებართვო ტრანზიტს, რაზედაც კომისია არ რეაგირებდა მაშინ, როცა სხვა ოპერატორები, მაგალითად („გლობალ ტვ“) ასეთი სახის გადაცდომისთვის კანონის სრული სიმკაცრით ისჯებოდნენ. მაშინ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთების ნაცვლად ირაკლი ჩიქოვანმა „სამთვიანი შვებულება“ აიღო და გაუჩინარდა...

არადა, ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც ყველაზე მეტად უნდა გარიდებოდა პოლიტიკურ პროცესებს და ეხელმძღვანელა იმ პრინციპებით, რასაც მას კანონმდებლობა აკისრებს. 2000 წლის მარტში ჩამოყალიბებული ორგანიზაციის ხელმძღვანელსა და კომისიის ხუთ წევრს მართალია, პრეზიდენტი ამტკიცებს, თუმცა, კომისია ვალდებულია: **არ დაუშვას ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მონოპოლიური საქმიანობა, შექმნას თანასწორუფლებიანი და სამართლიანი კონკურენტული გარემო, მოიზიდოს თანამედროვე ტექნოლოგიები და ამ მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურად ითანამშრომლოს. რაც მთავარია, დაიცვას მომხმარებელთა კანონიერი ინტერესები**. ფაქტია, რომ ჩიქოვანის უწყებამ წინასაარჩევნო პერიოდში ვერც ერთი ამ პირობის შესრულება ვერ მოახერხა... შესაბამისად, არჩევნებში ახალი ძალის მოსვლისთანავე ირაკლი ჩიქოვანმა ქვეყანა დატოვა.

კომისიის საქმიანობის მონიტორინგი განახორციელეს ლევან მიქელაძის სახელობის ფონდმა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. მათ უპირობოდ დააყენეს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის გადახედვის საკითხი. გამოკვლევებმა აჩვენა, რაოდენ უფუნქციო და უუნაროა კომისია – დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. როგორც პროექტის ექსპერტმა **მამუკა ანდღულაძემ** აღნიშნა: **„პარლამენტმა აუცილებლად უნდა იმსჯელოს კომისიის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ, რადგან კომისიის გადაწყვეტილებების მეტი წილი აბსოლუტურად პოლიტიზებულია და შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს“.** უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს კომისიის დაკომპლექტების ისეთ მექანიზმებს, რომლებიც დაიცავს მარეგულირებელ ორგანოს პოლიტიკური ძალების გავლენისაგან. აშკარად იკვეთება კომისიის თავმჯდომარის ინტერესთა კონფლიქტის საკითხი, რაც საფრთხეს უქმნის, როგორც კომისიის მიუკერძოებელ და ეფექტიან საქმიანობას, ასევე ტელეკომუნიკაციების სექტორის განვითარებას.

კომისიის მუშაობას სხვა ხარვეზებიც აქვს. ეს შეეხება: ლიცენზიათა მოდიფიცირებას, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესს, კომისიის უფლებამოსილებას საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვაზე, არაერთგვაროვან მიდგომასა და სხვას. ყველა ამ პრობლემური საკითხის უკან კი პოლიტიკა დგას... ასევე კომისიას წინა აქვს დასამუშავებელი საკითხები, თუმცა, მათი სანდოობის ხარისხი უკვე აშკარად ეჭვქვეშ დგება. პასუხი ირაკლი ჩიქოვანმა უნდა გასცეს, მაგრამ ის გაქრა, ალბათ, სერიოზული მიზეზების გამო?! ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ასეთი კომისია უნდა წავიდეს, შეიქმნას ახალი, ოღონდ იმ ხარვეზების გათვალისწინებით, რაც აქამდე იყო. ესეც არ არის გამოსავალი: კომისიას ახალი ნორმატიული ჩარჩო სჭირდება და არა გაკეთილშობილება. მთლიანად უნდა შეიცვალოს რეგულირების სისტემა და ის პოლიტიკური წნეხისგან განთავისუფლდეს... თუნდაც იმიტომ, რომ მომავალშიც არ მოუწიოს კომისიის ხელმძღვანელს ხელისუფლების ცვლილებისთანავე გაქრობა.

თეა მოსია

◎ SIC!

სააკაშვილის სამინისტროებში მოწყობილი ფულის სამრეცხაოები



(მესამე გვერდიდან)

„ჩვენ ეს ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის დასკვნაზე დაყრდნობით გავავრცელეთ, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ მაკა მეტრეველი არის დავით ბაქრაძის მეუღლე და ეს გაშიფრულიცაა დოკუმენტში. აქედან გამომდინარე, თუ ბაქრაძეს პრეტენზია აქვს ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტთან უნდა გაარკვიოს და არა ჩვენთან, რადგან ჩვენ ვეფუძნებოდით სახელმწიფო აუდიტის დასკვნას.

რაც შეეხება მაგდა ანიკაშვილის განცხადებას, რომ ყველაფერი სამართლიანად და გამჭვირვალედ ხდებოდა, როცა ბიუჯეტიდან მილიონობით ლარს იღებდნენ, ეს ცოტა არ იყოს, შოკისმომგვრელია ჩემთვის, რადგან იმ დასკვნაში წერია, რომ მათ ვერავითარი ანგარიშები ვერ წარმოადგინეს ამ თანხის ხარჯვის შესახებ და გაუმჭვირვალედ ხდებოდა თანხების ხარჯვა და ეს არ არის ჩვენი სიტყვები. როდესაც ის არაკომპეტენტურობაზე საუბრობს, ისაუბროს სხვა მიმართულებით და როდესაც პროკურატურას ჩვენ ამ მასალებს გადავცემთ, იქ ამტკიცოს, ვინ რა დაწერა და თქვა არასწორად. მათ პროკურატურას უნდა უმტკიცონ თავიანთი სიმართლე და არა საზოგადოებას“, – აცხადებს მჟავანაძე.

როგორც მჟავანაძე ამბობს, მისთვის გასაკვირი იყო, როდესაც მაგდა ანიკაშვილის განცხადებები მოისმინა, დავით ბაქრაძეც აქტიურად ჩაერთო პოლემიკაში, ხოლო ჩიორა თაქთაქიშვილმა საერთოდ ხმა არ ამოიღო, რის გამოც მჟავანაძე ასკვნის, რომ თაქთაქიშვილს ხმა არც ამოელება.

მჟავანაძეს ეჭვი გაუჩნდა, მაგრამ ჩიორა თაქთაქიშვილი ჟურნალისტების სატელეფონო ზარებს მართლაც არ პასუხობს. For.ge-მ სცადა მასთან დაკავშირება, მაგრამ როგორც ჩანს, არ სურს ამ თემაზე საუბარი.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ იმ ფაქტის გარდა, რაზეც მჟავანაძემ ისაუბრა, შაშკინის მინისტრობის პერიოდში, შესაძლოა, კიდევ ბევრი საინტერესო ფინანსური „ატკატები“ აღმოაჩინონ.

For.ge-ს წყაროს ცნობით, არსებობდა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც შაშკინის მინისტრობის პერიოდში მისი სამინისტროებიდან ფინანსდებოდა.

ამის გარდა, ძალიან მარტივად არის მოსაძიებელი შაშკინის მინისტრობის პერიოდში გაცემული პრემიების ოდენობა. **არსებობს ინფორმაცია, რომ თანამშრომლების გარკვეულ ჯგუფს თვეში რამდენჯერმე სახელფასო ანგარიშებზე ერიცხებოდათ დიდი რაოდენობის პრემიები. ამ თანამშრომლებს გარკვეული თანხა საჩუქრად რჩებოდათ, დანარჩენი გაცოცხლებული ფული კი ხელმძღვანელობასთან მიჰქონდათ.**

თანამშრომელთა ეს ნაწილი შაშკინს სამინისტროდან სამინისტროში დაჰყვებოდა, ხოლო ბოლოს თავდაცვის სამინისტროში აღმოჩნდა დაბანაკებული.

For.ge-ს წყაროს ცნობით, ფულის გათეთრების სქემაში მონაწილეობა, რა თქმა უნდა, თანამშრომელთა დიდ ნაწილს არ სიამოვნებდა, თუმცა, სამსახურის დაკარგვის შიშით ხელმძღვანელობის ინსტრუქციებს წინააღმდეგობას ვერ უწევდა.

საქართველოს პროკურატურას თავისუფლად შეუძლია დღესაც სამინისტროებში მომუშავე თანამშრომლებისგან უფრო დაწვრილებით მიიღოს ინფორმაცია, ვისთან მიჰქონდათ სახელფასო ბარათებიდან მიღებული თანხები. ასევე, საინტერესოა, სად იყრიდა ეს თანხები საბოლოოდ თავს, მინისტრებთან, თუ მათაც სადმე მიჰქონდათ, უფრო ზევით.

ასევე, არსებობს ინფორმაცია, რომ ფული სხვა სამინისტროებშიც ირეცხებოდა, თუმცა, ყველა მინისტრს თავისი, განსხვავებული მეთოდები ჰქონდა. რაკი ამ შემთხვევაში უფლებადამცველების მხრიდან სასჯელაღსრულებისა და განათლების სამინისტროებზე იყო საუბარი, საჭიროდ ჩავთვალეთ, ამ სქემის შესახებაც მიგვეწოდებინა ინფორმაცია საზოგადოებისათვის. დანარჩენი კი, ალბათ, უკვე პროკურატურის უნარსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული.

მარიამ თოდაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ბედუკაძეს მედიასთან კონტაქტი აეკრძალა

ციხის სკანდალური კადრების ავტორს ვლადიმერ ბედუკაძეს მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჟურნალისტებთან კონტაქტი აეკრძალა. ამის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოში პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაში ბრალდებულების მიმდინარე წინასასამართლო სხდომაზე ჟურნალისტებს ბედუკაძის ადვოკატმა ლალი აფციაურმა განუცხადა. აფციაურის თქმით, არსებობს პროკურატურის დადგენილება, რომლის მიხედვით ბედუკაძეს მედიასთან კონტაქტი ეკრძალება.

შესაძლოა, სამარშრუტო ტაქსების მძღოლები ისევ გაიფიცნონ

მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამარშრუტო ტაქსების მძღოლები სამომავლოდ აქციების განახლებას არ გამორიცხავენ.

როგორც მიკროავტობუსის მძღოლების საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა გოჩა მაქაძემ განაცხადა, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მოლაპარაკებები მერიასთან და კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენლებთან. მისი თქმით, ბოლო პერიოდში მერიასა და კომპანიასთან მოლაპარაკებები სამარშრუტო სქემებზე მიმდინარეობდა.

მაქაძის განცხადებით, არჩევნების შემდეგ გახსნილია დოტაციური ხაზები, რომლებიც ნაკლებად შემოსავლიანია და მძღოლები მათ გაუქმებას ითხოვენ.

ამასთან, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენლებთან კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკებები მძღოლისთვის დღიური ნორმის შემცირების შესახებ. მძღოლები ასევე კომპანიისგან დღიური ხელფასის 40 ლარიდან 60 ლარამდე გაზრდას ითხოვენ.

ამასთან, გოჩა მაქაძემ აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია, თუ რა რეაგირებას მოახდენს საქართველოს პარლამენტი თბილისის მერიის მიერ შეთავაზებულ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომლითაც სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისთვის ფიქსირებული გადასახადი უნდა დაწესდეს და მათ საბუღალტრო ანგარიშგება აღარ დაჭირდებათ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აწმყო და პერსპექტივა

მომხმარებლობიდან - მწარმოებლობამდე

მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირველი ტალღის შენელების, შემდგომ კი რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში გარკვეული ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზე ლაპარაკი ექსპერტებმა ჯერ კიდევ შარშან დაიწყეს, თუმცა, ახლა, როგორც ირკვევა, გაჩნდა იმის ნიშნები, რომ 2008 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში უძრავი ქონების ბაზრის კრიზისიდან წამოსული ამ მოვლენის მეორე ტალღას უნდა ველოდეთ. ამ პირობებში, მით უმეტეს ქვეყნის შიგნით მიმდინარე ურთულესი პოლიტიკური და სოციალური პროცესების ფონზე დიდია საზოგადოებრიობის დაინტერესება საქართველოს ამჟამინდელი და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, სავარაუდო სამომავლო ეკონომიკური პერსპექტივებით.

ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ეკონომიკური წარმატებების დეკლარირება ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებას, ასევე ინვესტიციების ოდენობის ზრდას ეყრდნობოდა, თუმცა, როგორც ირკვევა, ბევრი ბაქიბუქი, რბილად რომ ვთქვათ, უფრო სასურველ, ვიდრე რეალურ შედეგებს უკავშირდებოდა. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი მაკროეკონომიკური პარამეტრი, მით უმეტეს თუ ევროპის რამდენიმე ქვეყნის (მაგალითად, საბერძნეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, სხვათა) ამჟამინდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, მაინცდამაინც დიდად საპრობლემო არ არის. ლაპარაკია, პირველ ყოვლისა, **საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალზე:** მისი შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) შეფარდება დაახლოებით 1:3-ზეა, რაც, ექსპერტთა შეფასებით, სავსებით მისაღებია, თუმცა კი, **მთლიანი საგარეო ვალი გაცილებით მაღალია და მშპ-ს დაახლოებით 70 პროცენტს უტოლდება,** რაც ასევე არაა დიდი შეშფოთების მიზეზი. უბედურება სხვა რამაა, რაზეც ადრეც არაერთგზის გვითქვამს: **ქვეყანაში არ არის საგარეო ვალის მომსახურების მძლავრი შიდა წყარო, რასაც, კერძოდ, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა ადასტურებს,** სადაც იმპორტი დაახლოებით 4,5-ჯერ ჭარბობს. ამ შეფარდების „გაშიფვრა“ მარტივია: საგარეო ვალი უცხოური ვალუტით იფარება, რომლის ქვეყანაში შემოდინების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს ექსპორტი წარმოადგენს. ეროვნული პროდუქციის ექსპორტის დეფიციტურობა იმპორტთან მიმართებაში თავად მისი სტრუქტურიდანაც ჩანს, რაშიც თავადაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ და რაზეც ლაპარაკი მანამდეც ბევრჯერ გვქონია. წლების მანძილზე ჩვენი საექსპორტო პროდუქციის პირველ პოზიციას მსუბუქი ავტომობილები იკავებენ, რაზეც მთელი მოცულობის მეხუთედზე მეტი მოდის და რომლებსაც, მოგეხსენებათ, ჩვენ თავად არ ვაწარმოებთ. მეორე ადგილზე კი ასევე წლების მანძილზე შავი და ფერადი ლითონების ჯართია (8 პროცენტი) და მხოლოდ მესამე პოზიცია უკავია მინერალურ სასუქებს, რომლებსაც ჯერჯერობით მაინც ჩვენი მრეწველობა აწარმოებს. ამდენად, **ექსპორტის მთელი მოცულობის 30 პროცენტის წარმოებაში ეროვნული ეკონომიკა, ფაქტობრივად, არანაირად არ მონაწილეობს.** ბუნებრივია, რომ სავაჭრო ბალანსის უარყოფითობა, მისი „დაფერდება“, შიდა სამომხმარებლო ბაზარზე უტყუარად აისახება: მოსახლეობა, სახელმწიფო სტრუქტები და ორგანიზაციები, კერძო ფირმები ადგილობრივზე 4,5-ჯერ მეტ უცხოურ პროდუქციას მოიხმარენ, რაც, ცხადია, ქვეყნიდან სავალუტო რეზერვების გადინებას იწვევს. თან ეს ეხება არა მარტო საყოფაცხოვრებო დანიშნულების ან სამრეწველო მოხმარების, არამედ პირველ რიგში სოფლის მეურნეობის პროდუქციას, რომლის წილი მშპ-ში ათ პროცენტზე ნაკლებია.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ საქართველოს უარყოფითი საგარეო-სავაჭრო ბალანსის წარმოშობის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია ასევე ისიც, რომ უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობაში ქვეყანა უაღრესად არათანაბარ პირობებშია. საქმე ისაა, რომ ფაქტობრივად ყველა მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში საიმპორტო საქონელზე ხარისხის მკაცრი კონტროლის ეფექტიანი სისტემა მოქმედებს, ჩვენში კი ანალოგიური სისტემა კარგა ხანია, გაცამტვერებულია, რის შედეგად უხარისხო, დაბალხარისხიანი პროდუქცია ფაქტობრივად დაუბრკოლებლად შემოდის. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრადიციულად აგრარულ ქვეყანაში, სადაც სოფლად მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს, ეს მაჩვენებელი აშკარად საგანგაშოა, ხოლო ეროვნული ვალუტის ბოლო ხანებში შედარებით სტაბილური გაცვლითი კურსი ამ მხრივ ვითარებას დიდად ვერ ამსუბუქებს, თუმცა კი თავისთავად დადებითი ნიშანია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტაბილობა არა სამრეწველო განვითარების, არამედ თავდაპირველად უცხოური ინვესტიციათა შემოდინებით, საქართველოს მიმართ რუსეთის 2008 წლის აგრესიის შემდეგ კი უმეტესწილად დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების ხარჯზეა მიღწეული. გასათვალისწინებელია ასევე ის მნიშვნელოვანი ფულადი დახმარება, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა პირადად იღებს საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულ თავიანთ ნათესავ-ახლობლებისგან, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ მეტ-ნაკლებად ასატან მატერიალურ ყოფასა და სოციალურ მდგომარეობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტული პროდუქცია დომინირებს და მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთი გზა ადგილობრივი მრეწველობის განვითარება, მოსახლეობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად წარმოების ზრდაა აუცილებელი. ამ მხრივ საქართველოსთვის ყველაზე მომგებიანი მიმართულება სოფლის მეურნეობის განვითარებაა, რომელშიც ხალხს ათასწლეულების გამოცდილება აქვს დაგროვილი. ამ პერსპექტივას მით უმეტეს ის გარემოება აძლიერებს, რომ თავისთავად ქვეყანაში ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის, ტურიზმის განვითარება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე შიდა ბაზარზე მოთხოვნის ზრდასთან პირდაპირ კავშირშია და თუ მთავრობა ამ მიმართულებით არ იმოქმედებს, პროდუქციის იმპორტის მოცულობის ზრდის პირობებში საქართველოდან ვალუტის გადინება კიდევ უფრო მეტად გაიზრდება, რაც არსებულ ვითარებას მნიშვნელოვნად დაამძიმებს.

ბუნებრივია, რომ გარდა იმისა, რომ წარმოება ქვეყნის შიდა ბაზრის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას უნდა პასუხობდეს, იგი ასევე მნიშვნელოვნად პროდუქციის ექსპორტზე უნდა იყოს ორიენტირებული, რისთვისაც, მისი საგარეო ბაზარზე კონკურენტიანობის უზრუნველსაყოფად, ხარისხის, მიწოდების სტანდარტების, სანიტარიული ნორმებისა და ა.შ. უზრუნველყოფის გარდა, აუცილებელია, ასე ვთქვათ, გარე ხელშემწყობი ფაქტორების არსებობაც, როგორიცაა, მაგალითად, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შექმნა. ამისთვის კი, ბუნებრივია, მასთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმებაა საჭირო, რისი გაკეთება წინა მთავრობამ, გულში მჯიღის ბევრი ბრაგუნის მიუხედავად, წლების მანძილზე ვერა და ვერ შეძლო. ამ საკითხზე ევროკავშირთან შეთანხმების მისაღწევად და ხელშეკრულების დასადებად მისი გარკვეული პირობების შესრულებაა საჭირო, რომელთაგან, პირველ ყოვლისა, **ქმედითი, ევროპული ტიპის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემოღება და მისი რეალურად ამოქმედებაა საჭირო.** ამ მხრივ საკანონმდებლო მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს და მისი ქმედითუნარიანობის იმედს ის გარემოება ამაგრებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების და კონკურენციის მაკონტროლებელი ორგანიზაციები ცალ-ცალკე სამსახურებად ჩამოყალიბდება. მეორე საგულისხმო პირობა სასურსათო უვნებლობის მხრივ მომხმარებელთა უფლებათა დაცვაა, რასაც, ვფიქრობთ, არანაირი კომენტარი არ სჭირდება.

რაც შეეხება თავად საქართველოს მიმზიდველობას ევროკავშირის ქვეყნებისთვის სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივაში, ჩვენი უდიდესი კოზირია ის, რომ ჩვენში, ევროკავშირთან შედარებით, ლოჯისტიკური მომსახურება და მუშახელი გაცილებით იაფია, საგადასახადო ტვირთი — ნაკლები, რაც, უაღრესად მომგებიანი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ურთიერთობას მეტად მიმზიდველს ხდის. ეს კი, თავის მხრივ, უცხოური ინვესტიციების შემოდინების საუკეთესო წინაპირობაა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ალიან-ჩალიანი

თებერვალში ნინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ -0,3 პროცენტი შეადგინა

ძვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასები შემცირდა 0,6 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თებერვლის ინფლაციაში -0,18 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღნიშნულ ჯგუფში ფასების კლება აღირიცხა შემდეგ ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (4,4 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (1,9 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (1,6 პროცენტი). ამასთან, ფასები გაიზარდა ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე (4,8 პროცენტი).

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: მოცემულ ჯგუფში ფასები შემცირდა 2,8 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თებერვლის ინფლაციაში -0,07 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

ინტერპრესი

დედამიწის ზურგზე

ნორვეგია ზეიმობს: იმ ტერიტორიაზე, რომელიც ძვეყანას მედვედევმა დაუთმო, აღმოაჩინეს 1,9 მილიარდი ბარელი ნახშირწყალბადი

2010 წელს ხელმოწერილი შეთანხმება სადავო ტერიტორიების გაყოფის შესახებ ბარენცის ზღვაში ითვალისწინებს საზღვარსშორის საბადოების ერთობლივ დამუშავებას. მოსკოვი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით დიდად არ არის დაინტერესებული ამ პროცესით. სამაგიეროდ, ოსლო მთელი ძალით ემზადება ტუმბვისთვის — რეგიონში გადაიქცა საბურღი პლატფორმები, მბურღავების საჭიროებისთვის გაიგზავნა წყალქვეშა ნავების საიდუმლო ბაზა.

* * *

პაკისტანის ყარაჩიში ჰაერში ავარდა ორი დანაღმული ავტომობილი: დაიღუპა 52 კაცი

170-ზე მეტმა კაცმა მიიღო დაზიანება. მსხვერპლსა და დაჭრილთა შორის ბევრია ქალი და ბავშვი: ბომბები აფეთქდა სავაჭრო ცენტრებისა და მაღაზიების უშუალო სიახლოვეს. კვირას საღამოობით აქ ბევრი ხალხი დადის საყიდლებისთვის და სასეირნოდ, ბომბების სიმძლავრემ შეადგინა დაახლოებით 250 კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტით.

* * *

მიწისძვრა ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთში: დაიჭრა 30 კაცი

მიწისქვეშა ბიძგების მაგნიტუდამ 5,5 შეადგინა. პირველს მოჰყვა 34 განმეორებითი. დაინგრა 1781 სახლი, დაზიანდა 83434 ნაგებობა, მათ შორის სკოლებიც. მწყობრიდან გამოვიდა ელექტრო და წყალმომარაგება, დაირღვა სატრანსპორტო მიმოსვლა.

* * *

ბრიტანეთის დედოფალი ჰოსპიტალში გადაიყვანეს — მას კუჭის პრობლემები აწუხებს

ბუკინჰემის სასახლეში განაცხადეს, რომ ელისაბედ II საავადმყოფოში გადაიყვანა პირადმა ავტომანქანამ და იგი იქ იყო „კარგ მდგომარეობაში“. ბი-ბი-სის მონაცემებით, საავადმყოფოში მას ორდღიანი გამოკვლევა ელოდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

ფონდი საქართველოს უკვდავებისთვის

ამ ფონდის დაარსებას კარგა ხანია, ელოდება ქართველი საზოგადოება, ყველა, ვინც დარწმუნებულია, რომ ჩვენს მცირერიცხოვან ერს **გამრავლება, გამრავლება და კვლავაც გამრავლება თუ გადაარჩენს!** სტატისტიკა ხან ამას გვამცნობს, ხან იმას, უკაცრაული პასუხია და, ისიც ხელისუფლების კუჭის ქეიფზე დადის... ყველაფერი რომ ააშენა და დაამშვენა მიშა სააკაშვილმა (თუ მის ბაქიბუქს დავუჯერებთ), რატომ ერთხელ მაინც არ იფიქრა, რომ დაეარსებინა, **„დემოგრაფიული აღორძინების ფონდი“,** რომელიც ახალგაზრდებს დაოჯახებისკენ უბიძგებდა, ამით კი ერის გამრავლებასაც შეუწყობდა ხელს და უცხოეთისკენ მაცქერალი ახალგაზრდების შინ დარჩენასაც?.. რატომ, მაგალითად, არ შთააგონა მან თავის შინაგან საქმეთა მინისტრებს (რომელთაგანაც ერთი სასჯელს ელოდება), რომ ამ უზარმაზარ უწყებაში წაეხალისებინათ მრავალშვილიანი ოჯახები და შემწეობები გამოეყოთ მათთვის?. აი, ირაკლი ღარიბაშვილმა კი ეს გააკეთა, რაც, უპირველესად, სწორედაც რომ ფიქრია საქართველოს ხვალინდელ დღეზე, ხოლო ორი დღის წინათ ჩვენი ბრძენი კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივითა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერით, დაარსდა საქართველოს **„დემოგრაფიული აღორძინების ფონდი“,** რომელიც, რაღა თქმა უნდა, დიდად შეუწყობს ხელს ერის გამრავლებას, ანუ ერის უკვდავების საქმეს!

ჰოდა, ვინც ნაღდი ბიზნესმენია, სამშობლოზე მოფიქრალია, მჯერა, აუცილებლად „გაიკრავს“ ჯიბეზე ხელს ამ ფონდის სასარგებლოდ და ამით, რა გასაკვირია, ერთ სიამოვნებასაც მიიღებს, რამეთუ, თანხა შეეწია ჩვენი სამშობლოს ხვალინდელ დღეს.

მაშ, ეგრე, გაიხარე საქართველო! აღორძინდი საქართველო! შენი უკვდავებისთვის მოფიქრალი თითოეული ქართველი დაილოცოს!

მათი ხსოვნა ქვეყანას სანთლებად უნთია

1921 წლის თებერვლის ბოლოს, თბილისის სიახლოვეს, კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, ამ დღეებში, რა თქმა უნდა, ტრადიციულად მოვიგონეთ, ბევრმა კვლავაც მოინახულა ის ადგილები, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის თავდადებული ახალგაზრდა ქალ-ვაჟები, იუნკრები თუ სტუდენტები, წინ აღუდგნენ ბოლშევიკური რუსეთის აგრესიას.

— ჩვენც ვიყავით ზემოთ და, როგორც წესია, ყვავილების თაიგულები დავუწყვეთ გმირთა მემორიალს, — მეუბნება საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერან და ინვალიდ ოფიცერთა კავშირ „მშვიდობის“ პრეზიდენტი, მედიცინის ვიცე-პოლკოვნიკი **იური გალდავა,** — სხვათა შორის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა ირაკლი ძნელაძემ ორი ავტობუსი გამოგვიყო ამ ღონისძიებისთვის. ჩვენ თან გვახლდა ფოლკლორული ანსამბლი „მშვიდობა“ (ლოტბარი ნუგზარ კურცხალია), რომელმაც მემორიალთან შეასრულა ქართული საგალობლები თუ სიმღერები სამხედრო-პატრიოტულ თემაზე.

მოკლედ, დღე იყო სევდიანი, დღე ჩვენთა გმირთა არდავიწყების, რომელთა ხსოვნაც ქვეყანას სანთლებად უნთია და, მწამს, რომ ასე იქნება მომავალშიც, — ამბობს იური გალდავა.

„პარლამენტის“ გადატანა ჩაიშალა...

აბა, ჩვენი „პარლამენტი“ საქართველოს პარლამენტს ჩამორჩებოდა?.. ჰოდა, „ალექსანდრეს“ ბაღში, ზამთრის შემდეგ პირველივე შეკრებაზე, 3 მარტს, ანუ დედის დღეს, ერთმა ინტრიგანმა (გვარს არ დავასახელებ) აქაო, გენაცვალეთო, განავლისა და შარდის სუნი მოდის მიტოვებული შენობიდან, და გადავიდეთ ზედა მხარესო... არ გავიდა ეს საკითხი, ჩვენი კამათი და, ხანდახან, გინებაც, შეიძლება რუსთაველზე გაიგონოს გამვლელ-გამომვლელმა და, არ არის გამორიცხული, პოლიციაც კი დაგვადგეს თავზე, აქ, მაინც მოფარე-

ბულში ვართო... მოკლედ, „პარლამენტის“ გადატანის საკითხი ჩაიშალა, იქნებ, ამასობაში, გიგი უგულავამ ეს საპირფარეშოდ ქცეული ნაგებობა, ან ამოქოლოს, ან, საერთოდ, მოაცილოს აქედან და ჰაერიც დასუფთავდებაო... მოკლედ, დავწყნარდით, მოვიკითხეთ ერთმანეთი, რა საქმეა, თითქოს მთელი ზამთარია არ შევხვედრილვართ. მიშა, უკვე 83 წლის, ავადმყოფობამორეული „პარლამენტარი“, იმედიანადაა, „ნაცების“ დარიგებული ჯანმრთელობის პოლისი არ იყო ურიგო, მაგრამ, რაც „ოცნებამ“ ამ ერთი კვირის წინათ ჩაიდინა, ეს მარტო კომუნისტების დროს გვინახავს, გენაცვალეთო, ღმერთმა ყველა დაგვიფაროს, მაგრამ, თუ გაგვიჭირდა, უფასოა მკურნალობაო...

ყველაფერზე ცხვირაბზუებული ბონდო ბუზღუნებს, რა არის ეს, გვაშაყირებენ? 5 თეთრით გაზის ტარიფის შემცირება, გასამხელიც არ იყოო...

— იქნება, ბონდო, ყველაფერი თანდათან იქნება, — ამშვიდებს ოთარი.

— მე რომ არ ვიქნები, მერე რაც უნდა ის იყოს... ხედავთ? თეა წულუკიანისთანა მინისტრი არ გვყავსო და, თურმე, იურისტის დიპლომიც არ ჰქონია!..

— შენ დაწყნარდი, ბონდო... არა, ბიჭო, ადეიშვილი იყო უკეთესი!..

— ადეიშვილი წულუკიანზე ნაკლები მცოდნე არ იყო თავისი საქმის, მაგრამ მიშას უკანალში შეძრომამ დაღუპა... რას ვიზამთ, „ეს ცხოვრება ასე არის, ის ცხოვრება ისეა“... ეჰ, მთავარია, გაზაფხული შემოვიდა... ნამეტანი გაგრძელდა ეს ზამთარი... კიდე ეს ახალი არხი, „კომედი-არხი“ მართობდა ცოტ-ცოტას, თვარა აღარ შემეძლო სახლში ჯდომა!..

— აუუ, რა დაბალი დონეა, ტო, „კომედი-არხი“!.. ხომ არ შეიძლება ყველაფერი აშაყირო შენი ჭკუით?!. ოღონდ, ხალხი გააცინო და, მასხრად იგდებენ საკუთარ ბებია-ბაბუასაც, საქართველოს წარსულსაც, მეფეებსაც!.. ისე, ნიჭიერი ბიჭები არიან ის მიშა ანდღულაძე, ნიკა არაბიძე, ნიკა გრიგოლია... ის ფხაკაძე როა, ის გოგოებიც!.. კი ბატონო, ამ პოლიტიკამ გვატკინა თავი და ხანდახან მაგენი გვამხიარულებენ, მარა, არ უნდათ ეს ამსიგრძე სპექტაკლები... მოკლედ, სხარტად სჯობს!.

— სწორია, სწორი, ნამეტანი „ახურებენ“! — ეთანხმება ზაზას კრიტიკას გია: — ისე, ნიჭიერი ბიჭები არიან, უდაოდ!..

— მე ქე გამართეს ამ ზამთარში, ბიძია და... მოდით, ახლა, დავლიოთ თითო ჭიქა... ეს ღვინო ტყუილა მოვიტანე?.. დედის დღეა დღეს, კაცო!.. ჰოდა, დავლოცოთ დედები, ჩვენი უტკბილესი ადამიანები!

ვინ იტყოდა უარს.

„არასერიოზული კაცის“ ტრაგედია

კიდევ ერთხელ ინტერესით შევცქერი „არასერიოზულ კაცს“ ტელევიზიის რომელიღაც არხზე — ჩემი აზრით, ფილმ-შედევრს, რეჟისორ **დიმა ბათიაშვილის** ნამუშევარს, რომელიც, პირდაპირ „დახატა“ **გია ფერაძემ** — ერთი ალკოჰოლიკი ახალგაზრდა კაცის როლის უზადო შესრულებით.

...და, უნებურად ვფიქრობ გიას ბედზე, ახალგაზრდა მსახიობის ცხოვრების ტრაგედიაზე, რომელიც აქ, ალბათ, მოსაყოლიც არ არის (ვინც იცის, ხომ იცის).

გიამ, რამდენიმე, მართლაც დასამახსოვრებელი როლი ითამაშა რუსთაველის თეატრის სცენაზე, გაიბრწყინა კინოეკრანზეც, ხოლო „არასერიოზული კაცის“ სახე ისე „მოირგო“, თაობებს დაუტოვა მაგალითი იმისა, თუ რა შეუძლია ნიჭსა და სამსახიობო შემართებას.

მამამისი მთელ თბილისში ცნობილი პიროვნება, „ყვავილების ქვეყანას“ ტექსტის ავტორი, შესანიშნავი პედაგოგი ბიძინა ფერაძე იყო, დედა — მწერალი, უნიჭიერესი ქალბატონი თინა ჟორჟოლიანი... ეამაყებოდათ მშობლებს თავიანთი შვილები, განსაკუთრებით — გია.

...გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებია, ფეხით მივდივარ დიდუბეში, წერეთლის პროსპექტზე. უცებ, მოპირდაპირე მხრიდან მომავალ რამდენიმე ბიჭს გამოეყო ერთი — მაღალ-მაღალი, სუსტი აგებულების, დაბეჩავებული სახის კაცი: — ვილენ, შენ გენაცვალე, როგორა ხარ, ბიჭო!..

შევხედე, გიაა, გია ფერაძეა, შეცვლილი, ფერმიხდილი...

გადავეხვიეთ ერთმანეთს: — შენ გენაცვალე, რუსეთში, საპატიმროში მიგზავნიდა დედაჩემი ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და „კომუნისტში“ შენს წერილებსაც ვკითხულობდი, ბიჭო!..

გულიანად დავემშვიდობეთ ერთმანეთს...

მერე დიდხანს აღარ უცოცხლია...

თუმცა, დარჩა მისი ელვარე ნიჭი, რომელიც დროს გაუძლებს.

ვილენ მარდალეიშვილი

◎ პატივგება

მეცნიერების უანგარო მსახური

„მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება გიწვევთ გამოჩენილი ქართველი ფიზიკოსის, უნიჭიერესი ექსპერიმენტატორის, არაჩვეულებრივი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, მეცნიერებისათვის თავდადებული პიროვნების, აკადემიკოს თენგიზ სანაძის ხსოვნის საღამოზე“ — იუწყებოდა ბარათი. წარდგენის ხუთივე შტრიხი ზუსტად მიესადაგება ბატონი თენგიზის პორტრეტს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზი პირთამდე აივსო ხსოვნის ობიექტის ახლობლებით, კოლეგებით, მეგობრებით, ამხანაგებით, მისი დამსახურებულად მაღალი სახელის პატივისმცემლებით. შეკრება შესავალი სიტყვით აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ გახსნა, მოხსენება თენგიზ სანაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საზოგადოების თავმჯდომარემ, პროფესორმა რაფიელ ჩიქოვანმა წაიკითხა, აქვე სათქმელად, განსვენებულის თანაკურსელმა და მეგობარმა. იყო, რასაკვირველია, გამოსვლები თუ მოგონებები, საოცრად გულითადი, ერთობ თბილი, მოსაგონარი-სადმი დიდი პატივისცემით გამსჭვალული.

სხდომის მონაწილეებმა ჩინებული ნობათი მივიღეთ — აკადემიისა და საზოგადოების ეგიდით გამოცემული წიგნი „აკადემიკოსი თენგიზ სანაძე“, სადაც დიდი რუსი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ალექსანდრე პროხოროვის ასეთ გამონათქვამებსაც ვხვდებით: **„თენგიზ სანაძე ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის ფიზიკის — თანამედროვე მეცნიერების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ერთ-ერთი ლიდერია. მან შესანიშნავი წვლილი შეიტანა ეპრ-ის ახალ მიმართულებათა განვითარებაში, განსაკუთრებით, დისკრეტული გაჯერების იმპულსური მეთოდების დამუშავებაში. მე ის სულ ნიჭიერ ფიზიკოს-ექსპერიმენტატორად და საუცხოო ადამიანად მახსოვს“.**



წიგნი არაჩვეულებრივი მოვლენის — დისკრეტული გაჯერების აღმომჩენის ავტობიოგრაფიით იხსნება, რომელსაც თენგიზ სანაძე ასე ამთავრებს: ჩემი კრედო — მეცნიერების უანგარო სამსახური. მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობით ამართლებდა გაცხადებულს...

თამაზ ეგანოიძე

◎ ინფორმაცია

ვირუსით კიდევ ერთი აღამიანი გარდაიცვალა

იგი ფეხმძიმედ იყო. ამასთან, როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან იტყობინებიან, ლაბორატორიულად დადასტურებული სულ 258 შემთხვევაა დარეგისტრირებული, მათგან 18 შემთხვევა სიკვდილით დასრულდა.

გარდაცვლილთა შორის ყველაზე მეტი - 30-დან 64 წლამდე ასაკის პირები არიან. ამ ასაკობრივ ჯგუფზე გარდაცვალების 13 შემთხვევა მოდის. ამასთან, გარდაცვლილთა შორის ორი ოთხ წლამდე ასაკის ბავშვია, ერთი კი 5-დან 14 წლამდე ასაკის.

ცენტრში განმარტავენ, რომ გრიპის ვირუსით ინფიცირების პიკმა უკვე გადაიარა, თუმცა, შემთხვევების გამოვლენა რამდენიმე კვირა კიდევ გაგრძელდება.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჭადრაკი

სტარტზე თურქებს სძლიეს

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატებში სამჯერ იასპარეზა: ორჯერ მეოთხე ადგილი დაიკავა, 2011 წელს კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მსგავს შეჯიბრებაში ჩვენები ამჯერად მეოთხედ ჩაებნენ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში, სადაც 10 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ტურნირის გამარჯვებული 9375 ევროთი დაჯილდოვდება. მეორე-მესამე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 7000 და 2375 ევროს დაიმსახურებენ.

ჩემპიონატზე გამგზავრებამდე საქართველოს ნაკრები (ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სალომე მელია, კაპიტანი ნინო გურიელი, მწვრთნელები — ზურაბ სტურუა და ლაშა ჯანჯღავა, დელეგაციის ხელმძღვანელი — ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე) უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ რეზიდენციაში მიიღო, გზა დაულოცა და წარმატებები უსურვა...

პირველ ტურში ქართველმა მოჭადრაკეებმა თურქეთის გუნდს 3:1 მოუგეს (ნანა ძაგნიძემ ბეთულ ილდიზი დაამარცხა, ლელა ჯავახიშვილმა კარდელენ კემხანს აჯობა, ნინო ხურციძემ სუვლენ სოფს სძლია. მე-2 დაფაზე ბელა ხოტენაშვილი კობრა ოზთურქს დანებდა).

ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: უკრაინა-ინდოეთი 3:1, რუმინეთი-რუსეთი 0.5:3.5, ყაზახეთი-აშშ 2:2, ჩინეთი-საფრანგეთი 3.5:0.5. შეგახსენებთ, რომ რუსეთის ნაკრებში თამაშზე მწვრთნელთან უთანხმოების გამო უარი თქვეს დებმა — ტატიანა და ნადეჟდა კოსინცევებმა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ჩინელებს არ ჰყავთ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი და რეიტინგით მსოფლიო ათეულის წევრი ჟა სიუე, ინდოელებს — ჰამფი კონერუ (რეიტინგით მსოფლიოში მესამეა), ჰარიკა დრონავალი და ტანია საჩდევი, ფრანგების შემადგენლობაში არ გამოდიან ევროპის ჩემპიონი ელმირა სკრიპჩენკო და მარი სებაგი. ფაქტობრივად, ოთხივე გუნდი მეორე შემადგენლობით ასპარეზობს.

ლაშა დიდია

◎ რაგბი

ლიდერებმა პოზიციები განიმტკიცეს

დასასრულს უახლოვდება საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირი, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობს. პლეი-ოფების დაწყებამდე სამი ტურიღა დარჩა. გასულ უქმეებზე მე-15 ტურის პაექრობები გაიმართა. ერთპიროვნული ლიდერი „ლელო“ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონსა და თასის მფლობელ „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდა. რკინიგზელებმა მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და 29:49 დამარცხდნენ.

„არმიას“ გასვლითი მატჩი ჰქონდა რუსთავში. „ხარებმა“ ყველაფერი იღონა წარმატებისთვის, მაგრამ მორიგ წაგებას მაინც ვერ გადაურჩა — 21:18 გაიმარჯვეს სტუმრებმა და ერთპიროვნულ ლიდერ „ლელოსთან“ მხოლოდ ქულა აშორებთ. ქუთაისის „აიამაც“ სტუმრად მოიგო — თბილისის „არმაზს“ სძლია 19:7. **დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:** „აკადემია“ — „ბათუმი“15:30, „ყოჩები“ — „ჯიქები“ 8:45.

გათამაშების ცხრილი 15 ტურის შემდეგ: „ლელო“ — 61 (+226), „არმია“ — 60 (+149), „აია“ — 50 (+174), „არმაზი“ — 42 (+30), „ჯიქები“ — 40 (+61), „ლოკომოტივი“ — 30 (0), „ხარები“ — 21 (-99), „ბათუმი“ — 19 (-98), „აკადემია“ — 18 (-240), „ყოჩები“ — 7 (-203).

გივი გაგუა

◎ კონტაქტები

თანამშრომლობის კონტურები

გუშინ თბილისში ჩამოსულმა ლიტვის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლეგენდარულმა მოთამაშემ არვიდას საბონისმა, აღმასრულებელმა დირექტორმა პაულიუს მოტეიუნაისმა, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა და გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა ბრიფინგი გამართეს, სადაც გაირკვა, რომ იქმნება პროექტი, რომლის საშუალებითაც შემუშავდება ლიტვისა და საქართველოს კალათბურთის ფედერაციების ურთიერთთანამშრომლობის ხუთწლიანი გეგმა.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ბალტიისპირელი სტუმარი მოგვიანებით ჩვენი ქვეყნის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანსა და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსაც შეხვდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ძიუდო

ევროპულ კვარცხლბეკს გაუშინაურდნენ

ქართველმა ძიუდოისტებმა ამას წინათ დიუსელდორფის „დიდ პრიზზე“ 2-2 ოქრო-ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, გასულ უქმეებზე კი ჩვენმა ფალავნებმა პოლონეთის დედაქალაქშიც იყოჩაღეს: ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი დაიმსახურეს. რაც მთავარია, ისევ ქართული ფინალი ვიხილეთ. 73 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალამდე ნუგზარ ტატალაშვილი და ზებედა რეხვიაშვილი დაუმარცხებლად მივიდნენ. ტატალაშვილმა ხუთიდან სამ ორთაბრძოლაში იპონით გაიმარჯვა - ირლანდიელ ლოიდ მანინგთან, პოლონელ დამიან სზვარნოვიცკისთან და გერმანელ სოშინ კაცუმისთან, რუს დენის იარცევს კი გაფრთხილებით მოუგო.

რეხვიაშვილმა პირველ წრეში გერმანელი შტეფან ფრიდრიხი ვაზარით დაამარცხა, გაესპანელებულ ევროპის ჩემპიონ კიოში უემაცუს იუკოთი აჯობა, ხოლო უკრაინელ სერგეი დრებოტსა და ბრიტანელ იან გოსიევსკის გაფრთხილებებით გასცდა. ქართული ფინალი მაინცდამაინც ემოციური არ გამოდგა. გაიმარჯვა ტატალაშვილმა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საქართველოს ნაკრებს მეორე ოქროს მედალი ლევან წიკლაურმა (81 კგ) მოუტანა. დიუსელდორფში იგი მეორე ადგილს დასჯერდა — გადამწყვეტი პაექრობა თანაგუნდელ ავთანდილ ჭრიკიშვილთან დათმო. ლევანმა ვარშავაშიც დამაჯერებლად იჭიდავა: პირველ წრეში ისევენებდა, მერე კი იპონებით დაჯაბნა სერბი ალექსეი ნეფედოვი, ესტონელი ევგენი სალეევი, ფრანგი კვენტინ ჟუბერი, ნახევარფინალში რუს მაქსიმ ბუგას აჯობა, ფინალში გამოცდილ ლატვიელ კონსტანტინ ოვჩინიკოვსს იუკოვაზარი აართვა, რაც პირველობისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

აქვე დავძენთ, რომ პოლონეთში, სხვა გუნდების მსგავსად, ჩვენი ნაკრებიც უმთავრესად მეორე შემადგენლობით ჩავიდა. სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა თავი ვერაფრით გამოიჩინა, რაც დამაფიქრებელი ფაქტია — ეროვნული ნაკრების წევრებს აუცილებლად სჭირდებათ ჯანსაღი კონკურენცია, რათა სპორტული კონდიციების შენარჩუნებასა და ოსტატობის ამაღლებაზე მეტად იზრუნონ.

პოლონეთში სხვა ქართველი მოჭიდაველებიდან დამამშვიდებელში მხოლოდ შალვა ქარდავა (66) გავიდა, ხვიჩა ხუციშვილი (81), ლაშა ტაველური (90) და დავით ლორიაშვილი (100) პირველივე შეხვედრაში დამარცხდნენ, ვაჟა მარგველაშვილმა (60), პაატა მერებაშვილმა (60), პაატა ღვინიაშვილმა (81), და ლომერ ჟორჟოლიანმა (100) მხოლოდ თითო პაექრობა მოიგეს, ბექა ღვინიაშვილმა (90) - ორი. თანაც, უმეტესობამ უსახელო მეტოქეებთან წააგო.

კვარცხლბეკი

60 კგ. 1. იელდოშ სმეტოვი, 2. აიბეკ იმაშევი, 3. რუსტამ იბრაიევი (სამივე — ყაზახეთი), ბოლდბაატარ ჩიმედ-იონდონი (მონღოლეთი).

66 კგ. 1. გიორგი ზანთარაია (უკრაინა), 2. იაკუბ შამილოვი (რუსეთი), 3. ბოლდბაატარ განბატი (მონღოლეთი), კილიან ლე ბლუში (საფრანგეთი).

73 კგ. ნუგზარ ტატალაშვილი, 2. ზებედა რეხვიაშვილი (ორივე — საქართველო), 3. იან გოსიევსკი (ბრიტანეთი), სოშინ კაცუმი (გერმანია).

81 კგ. 1. ლევან წიკლაური (საქართველო), 2. კონსტანტინ ოვჩინიკოვსი (ლატვია), 3. მაქსიმ ბუგა (რუსეთი), კვენტინ ჟუბერი (საფრანგეთი).

90 კგ. 1. მარკ ოდენტალი (გერმანია), 2. ლუდოვიკ გობერი (საფრანგეთი), 3. ცოგტგერელ ხუტაგი (მონღოლეთი), მილან რანდლი (სლოვაკეთი).

100 კგ. 1. ორ სასონი (ისრაელი), 2. ტომა ნიკიფოროვი (ბელგია), 3. დავიდ ალარზა (ესპანეთი), კლემენტ დელვერი (საფრანგეთი).

+100 კგ. 1. სერგეი პროხინი, 2. რენატ საიდოვი (ორივე — რუსეთი), 3. იუჰან მეტისი (ესტონეთი), ალესიო მასკეტი (იტალია).

ლექსო ცინცაძე

◎ სამთო თხილამურები

მეოთხე ადგილს დასჯერდა

ქართველმა სამთო მოთხილამურემ ნინო წიკლაურმა იტალიურ მონტე კრუ კამელიოში ახალგაზრდა სპორტსმენთა ტურნირში იასპარეზა. სლალომში მან (1.40,24) 35 მონაწილეს შორის მე-4 ადგილი დაიკავა. ჩვენებურს მასპინძლებმა — მირიმ კოსტნერმა (1.34,83), ნატალი რიზოლიმ (1.38,82) და დარია კარპეგნამ (1.39,35) გაუსწრეს.

ავსტრიულ ინეკრემზში ჯაბა გელაშვილმა სწრაფდაშვებაში (1.11,42) 32-ე ადგილი დაიკავა. პირველობა ავსტრიელ მანუელ კრამერს (1.08,41) ერგო.

ვაჟა ნოსირელი

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

ინგლისი. XXVIII ტური. „მანჩესტერი“ — „ნორვიჩი“ 3:0, „ტოტენჰემი“ — „არსენალი“ 2:1, „ჩელსი“ — „ვესტ ბრომვიჩი“ 1:0.

გერმანია. XXIV ტური. „ჰოფენჰაიმი“ — „ბაიერნი“ 0:1, „ბორუსია“ — „ჰანოვერი“ 3:1, „ლევერკუზენი“ — „შტუტგარტი“ 2:1.

იტალია. XXVII ტური. „ნაპოლი“ — „იუვენტუსი“ 1:1, „მილანი“ — „ლაციო“ 3:0, „კატანია“ — „ინტერი“ 2:3.

ესპანეთი. XXVI ტური. „რეალი“ — „ბარსელონა“ 2:1, „მალაგა“ — „ატლეტიკო“ 0:0, „ვალენსია“ — „ლევანტე“ 2:2.

საფრანგეთი. XXVII ტური. „რეიმსი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 1:0, „ბრესტი“ — „ლიონი“ 1:1, „მარსელი“ — „ტრუა“ 2:1.

ჰოლანდია. XXV ტური. „ეინდჰოვენი“ — „ვენლო“ 2:0, „ტვენტე“ — „აიაქსი“ 0:2, „ნაიმეგენი“ — „ფეიენოორდი“ 0:3, „ვიტესი“ — „უტრეხტი“ 2:0.

გიორგი ზოთაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წერილი რედაქციას

მივესალმებით ყოფილ პოლიტპატიმრებს!

აკადემიკოს მალხაზ გველუკაშვილს, საშა ზაქარაიას, ნუგზარ ჩუხუას, ბონდო თოდუას — თქვენ ყველანი უკანონოდ დაპატიმრებულნი, გმირები და რაინდები ხართ. ძნელია, იყო ქართველი ვაჟკაცი და რაინდი, მით უმეტეს დღეს. ყველა ღირსეული მამულიშვლის ხვედრი იყო და არის ტანჯვა, დევნა, საპყრობილე და წამებით სიკვდილი.

თქვენ დაუპირისპირდით საქართველოში გამეფებულ სააკაშვილს რეჟიმსა და უსამართლობას, გვეამაყებით! საქართველოში მალე გვეხილოს ხელისუფლება, რომელიც სათანადოდ დააფასებს თქვენს, ასევე ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის, ღვაწლს, სამართლიან, უანგარო ბრძოლას ქვეყნის გადასარჩენად.

საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამშობლოდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განდევნილი, ნაწამები, ნატყვიარი 3031 მებრძოლის სახელით:

ირაკლი იბერი,
გიორგი ჯაყელი,
დავით გიგაური,
(კონსპირაციულად მცხოვრებნი),
სანდრო ივერიელი —
ამერიკელი ქართველი
სირია, დამასკო
26 თებერვალი, 2013 წ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2013 წლის 1 მარტის ნომერში გამოქვეყნდა შპს „გზის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ განცხადებები.

1. დაბა ჯვარი, ანდრია პირველწოდებულის ქ. №50.
2. ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლეწურწუმე.

სადაც გაიპარა შეცდომა მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენის ვადა ნაცვლად 2013 წლის 25 აპრილისა უნდა იყოს 2013 წლის 14 აპრილი.

გიორგი, მევლუდი დუნდუები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

ერისტო (კუკური) დუნდუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.

გამოსათხოვარი

ანზორ ბოჭორიშვილი

ჩვენი ქვეყნის ამაგდარ და ღირსეულ ადამიანთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი წარმომადგენელი. 78 წლის ასაკში ამქვეყნიური ცხოვრების გზა დაასრულა შესანიშნავმა მოქალაქემ და პიროვნებამ **ანზორ ბოჭორიშვილმა**.

წავიდა ჩვენგან ერთ-ერთი გმორჩეული ადამიანი, ქვეყნისა და ხალხის, ოჯახისა და ნათესავების, მეგობრებისა და ახლობლების წინაშე ვალმოხდილი ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი, მისაბაძად კეთილშობილი, მაღალი ზნეობითა და ღირსებებით შემკული უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ადამიანი, დარბაისელი მოსიყვარულე მეგობარი.

ანზორ ბოჭორიშვილმა ცხოვრების ღირსეული გზა განვლო. ქ. თბილისის 1 საშუალო სკოლისა და 1958 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სრული კურსის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს სახალხო მეურნეობის საბჭოს დამხმარე საწარმოთა კომბინატში საამქროს ოსტატის თანამდებობაზე. 1959-1963 წლებში იგი საქართველოს მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია.

1964 წელს ა. ბოჭორიშვილი ჩაირიცხა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის, აკად. ე. ბატონის სახ. სახელგანთქმული ელექტროშედუღების ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ, იქვე, წარმატებით დაიცვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1971 წელს ა. ბოჭორიშვილი ინიშნება ქ. რუსთავის ქარხანა „ცენტროლიტის“ მთავარი ინჟინრის მოადგილედ. 1978 წლიდან იგი საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსია, ხოლო 1982 წლიდან საქართველოს მინისტრთა საბჭოს მომარაგების საკითხთა კონტროლის ჯგუფის უფროსი, შემდგომ კი სათბობისა და მატერიალური რესურსების განყოფილების გამგის მოადგილე, 1989-1994 წლებში იგი იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტოქსმეორადი გადამუშავების“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

1994 წელს ა. ბოჭორიშვილი საქართველოს შემდუღებელთა ასოციაციაში განაგრძობს მუშაობას, ხოლო 1998-2002 წლებში იგი სახელმწიფო კანცელარიის კონსულტანტია. 2002 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა შედუღების საერთაშორისო ცენტრის „ინტერველდის“ დირექტორის მოადგილედ.

ყველგან, სადაც კი უმუშავია მას, მეტად შთამბეჭდავი პროფესიული და საქმიანი კვალი აქვს დატოვებული და არაერთი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებაში აქვს მიღებული მონაწილეობა.

ყოველთვის სათანადო ღირსებით წარმოჩენილი ა. ბოჭორიშვილის ცხოვრების წესი და რიგი, განსაკუთრებული ადამიანური თვისებები განუმეორებელ ხიბლს ანიჭებდა მის პიროვნებას. ყველასთვის კეთილმოსურნე, გაჭირვებაში და დალხინებაში მუდამ ვაჟკაცურად გვერდში მდგომი, არავის არ აკლებდა ზრუნვას და ადამიანურ სითბოს. მას ყველა დიდ პატივს სცემდა, აფასებდა და უყვარდა.

მაღალი დონის პროფესიონალი, თავის ქვეყანაზე და ხალხზე უზომოდ შეყვარებული ჭეშმარიტი მამულიშვილი, დიდებული მეუღლე, მამა, თავმდაბალი ერთგული მეგობარი და ახლობელი, სიყვარულით და კაცობით სავსე გულის მქონე ადამიანი — ასე იცნობდნენ ა. ბოჭორიშვილს და ასევე დარჩება იგი მრავალრიცხოვანი კოლეგების, მეგობრების, ახლობლებისა და ნათესავების ხსოვნაში, მისი დაკარგვით გამოწვეულ უდიდეს გულისტკივილთან ერთად.

ღმერთმა ნათელი დაგადგას წმინდა სასუფეველში ჩვენო საყვარელო, დიდებულო კაცო. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

კოლეგები, მეგობრები

სანთელი

ზურაბ გიგინეიშვილის ხსოვნას

ძალზე ძნელია, **ზურაბ გიგინეიშვილზე** ისაუბრო წარსულ დროში. კიდევ ერთი მამულიშვილი, თავისი საქმის უბადლო მცოდნე, ქველმოქმედი, საქართველოზე და მოყვასზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება ჩვენს შორის აღარ არის.

დაიბადა 1950 წელს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი და გააგრძელა მამის, დიდი ქართველი ენერგეტიკოსის, აქვსენტი გიგინეიშვილის დაწყებული საქმე.

წლების მანძილზე ზურაბ გიგინეიშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა არაერთი მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ობიექტი საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ. იყო ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი პრემიის ლაურეატი, ჯილდოების მფლობელი და გამოგონებების ავტორი. მარტო ენერგეტიკოსების ენციკლოპედიაში შეტანილი მისი გვარიც საკმარისია, რომ გავიგოთ, რა დიდი პროფესიონალი დაკარგა ქვეყანამ.

ცხოვრების მანძილზე ადამიანს შინაგან სიმტკიცეს, სირთულეებთან გამკლავების უნარს ძირითადად ის დიდი გრძნობა უყალიბებს, რომელსაც უფლის, ქვეყნის და ოჯახის სიყვარული ჰქვია. სწორედ ამ სიყვარულმა შეაძლებინა ბოლო წლებში მას და მის ოჯახს, შებრძოლებოდნენ უმძიმეს სენს, ზურაბმა ჩვეული ვაჟკაცობითა და სულიერი სიმტკიცით, რომ დაითმინა სულ ბოლო ამოსუნთქვამდე.

მიუხედავად ჩვენი დიდი სევდისა და მწუხარებისა, ღრმად გვწამს, რომ მისი ვაჟკაცები, მისი შთამომავლობა გააგრძელებენ იმ ღირსეული გზით სიარულს, რომლითაც ზურაბ გიგინეიშვილმა იარა უფლისგან ბოძებული 62 წლის მანძილზე.

მეგობრები

მეუღლე ნათელა ბახტაძე, შვილები გიორგი, გივი, და მანანა, რძლები ნატუკა, ანა, შვილიშვილები ზუკა, ნინო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



ზურაბ გიგინეიშვილი

პაპაშვიდი 3, 4 III, 17 სთ. დაკრძალვა 5 III, 14 სთ. მის. ფალიაშვილის ქ. №33.

მიხეილ გოცირიძე ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა

ზურაბ აქვსენტის ძე გიგინეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებარე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კავკასიონის“ (ყოფილი ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის“ მე-8 მექანიზირებული კოლონა) კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ უდროოდ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი

ზურაბ აქვსენტის ძე გიგინეიშვილი

ბატონი ზურაბის მონაწილეობით აშენდა მრავალი სასისტემო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი და ქვესადგური, როგორც საქართველოში ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში: აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში, რუსეთის სხვადასხვა ცენტრალურ რეგიონებში: ტამბოვის, როსტოვის, ვოლგოგრადის, კრასნოდარის, სტავროპოლის და სარატოვის მხარეებში. ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, დაღესტნის, ყაბარდო ბალყარეთის და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესპუბლიკებში. „კავკასიონის“ კოლექტივი უთანაგრძნობს და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ჯანმრთელობა

ნიკრისის ქარი ციფრებსა და ფაქტებში

ქვეყნის მოსახლეობის 0,1 პროცენტს აწუხებს ნიკრისის ქარი. მას პოდაგრასაც უწოდებენ.

პოდაგრა ბერძნულად ნიშნავს ხაფანგს ფეხებისთვის.

ამ დაავადებას ხალხში „ძარილების დაგროვებას“ უწოდებენ.

ეს არის სისხლძარღვთა დაავადება, რომელიც გამოწვეულია პურინული ცვლის დარღვევითა და ქსოვილებში კენჭოვანი შენაერთების დაგროვებით.

სისხლძარღვთა და თირკმელების დაავადების ყველა შემთხვევის 2,5 პროცენტი ნიკრისის ქარზე მოდის.

დაავადების პიკი მამაკაცებისთვის 40-50 წელია, ქალებისთვის — 60 და მეტი წელი.

მამაკაცები ნიკრისის ქარით ქალებთან შედარებით 20-ჯერ უფრო ხშირად ავადდებიან.

ნიკრისის ქარის არტრიტის ნიშნებია — მოულოდნელი ტკივილები ტერფის დიდ თითზე, სისხლძარჯვის შესიება და სიწითლე მის ირგვლივ, შარდის მჟავის შემცველობის გადიდება სისხლის შრატში, სისხლძარღვთა ცვლილება, რაც რენტგენში მოჩანს.

სისხლში შარდის მჟავის გადიდებული შემცველობის პირთა მხოლოდ 40 პროცენტს აწუხებს ნიკრისის ქარი.

ნიკრისის ქარის აღზევება შუასაუკუნეებზე მოდის. მაშინ ეს დაავადება ითვლებოდა მდიდართა ავადმყოფად, რომლებიც ბევრ ხორცსა და ცხიმიან თევზს მიირთმევდნენ და ბევრ ღვინოს სვამდნენ.

ცნობილ ადამიანებს შორის,ვისაც ნიკრისის ქარი აწუხებდათ, იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, მონარქები კარლოს V და ჰენრიხ VIII, მიქელანჯელო, კრომველი, ივანე მრისხანე, პეტრე I, პუშკინი, ტურგენევი, გი დე მოპასანი, სტენდალი...

წელიწადში 1-2-ჯერ შეინიშნება ნიკრისის ქარის შეტევები დაავადების დასაწყისში. 5 წლის შემდეგ შეტევები მეორდება უკვე 3-4-ჯერ წელიწადში, კიდევ გარკვეული პერიოდის შემდეგ პრაქტიკულად მუდმივი ხდება.

ნიკრისის ქარს მკურნალობენ ნესტეროიდული ანთების საწინააღმდეგო, კარტიკოსტეროიდებისა და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატებით. მკურნალობას აუცილებლად ახლავს დიეტა: უარი უნდა ვთქვათ ცხიმიან საკვებზე, ხორციან ბულიონებზე, ალკოჰოლზე.

სწორად შერჩეული თერაპიის დროს ნიკრისის ქარის შემოტევები 1-2 დღის შემდეგ ქრება.

შვილები ნუკრი, მაია ნებიერიძეები, შვილიშვილები ნინო, ნოდარ ნებიერიძეები, დიმიტრი, თამაზ ვაჩნაძეები, ძმა თამაზ ნებიერიძე, ძმისცოლი ლამარა მახათაძე, რძლები ხათუნა ეძგვერაძე, ქეთევან ჩიჩუა, ნათია ჩიქოვანი, შვილიშვილები დავითი, მერაბი, ალექსანდრე, დეა, ნინო, სიძეები მერაბ ვაჩნაძე, აკაკი კიკნაველიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ იულონის ძე ნებიერიძე

პანაშვიდი 5, 6 III, 17 სთ. მისამართი: ფალიაშვილის 55, გამოსვენება 7 III, 14 სთ. ქიაჩელის ქუჩაზე არსებული ცისფერი ეკლესიიდან.

ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, უკეთილშობილესი ქალბატონი

ელისაბედ (ელზა) დოკვაძე

და თანაუგრძნობს მთელ სანათესაოს და სამეგობროს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სხვისი ქისა

ამათ ჯიბეში რუბლიც არასოდეს უდევთ...

ეკონომიკის ექსპერტებმა რუსეთში მილიარდერთა რეკორდული ოდენობა დაითვალეს. აღმოჩნდა, რომ 131 ოლიგარქის საერთო კაპიტალი 450 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ყველაზე მდიდარ რუსეთელად, აგერ უკვე მერამდენე წელია, „მეტალოინვესტის“ მფლობელს **ალიშერ უსმანოვს** ასახელებენ, რომლის ქონება გასული წლის მანძილზე თითქმის არ შეცვლილა. ჟურნალ CEO-ს შეფასებით, **მისი კაპიტალი 18 მილიარდ 720 მილიონი დოლარია.** სარფიანად გაყიდა ნავთობკომპანიის THK – BP-ს საკუთარი სააქციო პაკეტი, რომელიც სახელმწიფო კომპანია „როსნეფტმა“ შეიძინა. საბოლოო ანგარიშით, **მისი კაპიტალი წლის მანძილზე ორი მესამედით (!) გაიზარდა და 16 მილიარდი დოლარი შეადგინა.**

სადღეისო მდგომარეობით, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთელ „დოლარიან მილიარდერთა“ რიცხვმა 131 კაცს მიაღწია და მათი საერთო ქონება 450 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ეს თანხა გაცილებით მეტია რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის ერთად აღებულ ყველა ხარჯზე, რომელიც წლეულსაა დაგეგმილი. თუმცა კი, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ციფრი საკმაოდ პირობითია. თავიანთი გამოანგარიშების დროს CEO-ს ექსპერტები ჟურნალ „ფინანსების“ მეთოდიკას იყენებდნენ, რომელმაც რუსეთელ ოლიგარქთა კაპიტალების შეფასება ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყო. ამ მეთოდიკის არსი ისაა, რომ **ბიზნესმენთა ქონება მათი კუთვნილი აქტივების საბირჟო ღირებულებისდა მიხედვით ფასდება.**

ჟურნალის ექსპერტთა განცხადებით, რეიტინგში ასახული კაპიტალები საკმაოდ ილუზორული. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ მათ, ვთქვათ, იმავე ალიშერ უსმანოვს ან ოლეგ დერიპასკას ეს ფული, რომ იტყვიან, „ხელში უჭირავთ“, ანდა სადმე „მუთაქაში“ აქვთ შენახული. **სინამდვილეში კი ფული, როგორც ასეთი, არ არის, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობას ის არა აქვს. სამაგიეროდ ამ ხალხს აქვს აქტივები, რომელთა ღირებულება მატულობს ან იკლებს, ბირჟების კოტირების, საექსპერტო, ანდა, სულაც, თავად მფლობელთა შეფასებისდა მიხედვით.** მაგალითად, ვაგიტ ალეკპეროვი თავისი კაპიტალის ზრდას არა დიდძალი ფულადი თანხის შემოდინებას, არამედ 17,5 პროცენტით „ლუკოილის“ აქციების ზრდასა და რუბლის გამაგრებას უნდა უმადლოდეს.

უმდიდრეს რუსეთელთა პირველი ათეული კი ასეთია : 1. ალიშერ უსმანოვი, რომლის ქონება 18,72 მილიარდი დოლარია, იგი კომპანია „მეტალოინვესტის“ მფლობელია. **2. ვლადიმერ ლისინი** (17,2 მილიარდი, კომპანია ნლმკ); **3. ვიქტორ ვეკსელბერგი** (15,94 მილიარდი, კომპანია „რენოვა“); **4. მიხეილ ფრიდმანი** (15,32 მილიარდი, კომპანია „ალფა-გრუპი“); **5. მიხეილ პროხოროვი** (15,25, ჯგუფი „ონეკსიმი“); **6. ალექსი მორდაშოვი** (14,14, კომპანია „სევასტოპოლი“); **7. ლეონიდ მიხელსონი** (13,74, კომპანია „ნოვატეკი“); **8. ოლეგ დერიპასკა** (12,64, კომპანია „რუსალი“); **9. ვლადიმერ პოტანინი** (12,32, კომპანია „ნორნიკელი“); **10. ვაგიტ ალეკპეროვი** (12,03, „ლუკოილი“).

ლალი ხუნდაძე

ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი ვახელებთან

არ ვითხოვ ჯავახეთის ავტონომიას! სააკაშვილი ცრუობს!

– აცხადებს ექსტრემისტად შერაცხული ვაჰაგნ ჩახალიანი, – მთელმა საქართველომ იცის, როგორი მატყუარაა სააკაშვილი. ყოველდღიურად ცრუობს. ჩემს მიმართაც ასეთი უტიფარი ტყუილი თქვა. ჯავახეთის ავტონომია მე არასოდეს მომითხოვია. სააკაშვილი და მისნაირები ამაოდ ცდილობენ, ჩვენი ერები ერთმანეთს დააპირისპირონ. საქართველოს მტერი ვაჰაგნ ჩახალიანი კი არა, მიხეილ სააკაშვილია, თავის ბანდასთან ერთად.

„ასავალ-დასავალი“

რეალურია თუ არა მოსახლეობისთვის გაუფასურებული საბჭოთა ანაბრების დაბრუნება

საბჭოთა ანაბრების საკითხი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში აქტუალურობას დღემდე არ ჰკარგავს, ზოგიერთმა სახელმწიფომ თანხის გაცემის ზუსტი თარიღიც კი დაასახელა.

საქართველოში, მართალია, საბჭოთა ანაბრები სახელმწიფოს შიდა ვალად აქვს აღიარებული, თუმცა, თანხის გაცემაზე კონკრეტული პროექტი და სქემა დღემდე არ არსებობს. ხელისუფლებაში ამბობენ, რომ მთავრობა საბჭოთა ანაბრების პრობლემებზე თვალის დახუჭვას არ აპირებს, თუმცა, აცხადებენ, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

„რეზონანსი“

„ნათელაშვილი ნაციონალებს გაურიგდა“

– აცხადებს ლეიბორისტული პარტიის ყოფილი გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი, – ეს ჩვენ ყველაფერი ჭორის დონეზე ვიცოდით, რომელიც, სხვათა შორის, პარტიის არსებობის მანძილზე ყოველთვის დადიოდა, მაგრამ ჩვენ ამ ჭორებს ყურადღებას არ ვაქცევდით. ჭორები ჩვენზეზედაც დადიოდა. ვიცით, რომ როცა ადამიანი პოლიტიკაში ხარ, ჭორების ქვეშ ექცევი. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ როგორც კი რეალური ფაქტები შევიტყვეთ, პარტია დაუყოვნებლივ დავტოვეთ.

„ახალი თაობა“

რატომ ეძახიან ზურაბ ადეიშვილის მამას „ყვარლის ფაშას“

ბოლო დროს ბევრი ბრალდება გაისმის იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის მისამართით. ამჯერად მის ოჯახს რამდენიმე თანასოფელი უპირისპირდება და თანხების გამოძალვაში ადეიშვილის მამას, შალვა ადეიშვილს ამხელენ. ზურაბ სეფიაშვილი წართმეული თანხის დაბრუნებას მოითხოვს. შალვა ადეიშვილს პრეტენზიებს კიდევ 7 მოიჯარე უყენებს. მათი მტკიცებით, ადეიშვილი ხალხს ჩაბარებულ კილოგრამ ყურძენში 20 თეთრს სძალავდა.

„ქვირის პალიტრა“

დავით ბაძრაძის გარშემო ახალი სკანდალი გორდება

„ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ვართაპეტისა და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის დავით ბაქრაძის გარშემო მორიგი სკანდალი გორდება.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს“ ლიდერი, ჟურნალისტი ელისო კილაძე აცხადებს, დავით ბაქრაძე, ბაქრაძის სიმამრი ლერი მეტრეველი და ნინოწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი, ოთხგზის პარლამენტარი ენზელ მკოიანი ნინოწმინდაში ერთბლივ ბიზნესს ფლობენ და საბიუჯეტო თანხებს წაღმა-უკუღმა ფანტავენ.

„ძრონიკა“

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

– მიხო, თვლა იცი? – ეკითხება მასწავლებელი.

– ვიცი.

– აბა, დათვალე!

– ერთი, ორი, სამი, ოთხი...

– მერე?

– ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა...

– მერე?

– ცხრა, ათი, ვალეტი, ქალი, მეფე...

* * *

იყიდა მიხომ ლატარიის ბილეთი და მაშინვე ოცნებად იქცა:

– აი, ახლა მოვიგებ მანქანას, შენ გვერდით მოგისვამ, მარო, ჩვენი ნიკა კი უკან ჩავისვათ და გავქროლდეთ ქალაქგარეთ!

– არ დავჯდები უკან! – გაჯიქდა ნიკა.

– რატომ არ დაჯდები? დაჯდები!

– არ დავჯდები.

– მაშინ ახლავე გადადი მანქანიდან!

ფრანგულმა ჟურნალმა გამოაცხადა კონკურსი: „წარმოიდგინეთ, რომ რესტორანში ზიხართ ქალთან, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ გაიცანით და რომელიც ყველას მოსწონს. თქვენ აუცილებლად უნდა გახვიდეთ ტუალეტში. რა უნდა უთხრათ ქალს, რომ თქვენი ნათქვამი ზრდილობიანიც იყოს და მართალიც?“

პირველი ადგილი დაიკავა შემდეგმა განმარტებამ:

„მადამ, მე უთუოდ უნდა გავიდე ჩემი მეგრობრის დასახმარებლად, რომელსაც ოდნავ მოგვიანებით გაგაცნობთ“.

* * *

ტიპი მიდის დიდი უნივერმაღის ცნობათა ბიუროს სარკმელთან:

– მაპატიეთ, ცოლი დამეკარგა...

– „ყველაფერი დაკრძალვისთვის“ მესამე სართულზეა.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com